# სარბიელი

სპორტული გაზეთი   სამშაბათი 23 აგვისტო 2005 №192 (2515)   ფასი 50 თეთრი




## პორტსმუთი და ხიზანიშვილი არ გამოვიდა

ზურაბ ხიზანიშვილის „გლაზგო რეინჯერსიდან“ ინგლისური პრემიერლიგის „პორტსმუთში“ გადასვლა ჩაიშალა — გუშინ ზურა პორთსმუთში გახლდათ, მაგრამ მოლაპარაკება შეთანხმებით ვერ დასრულდა და ხიზანიშვილი გლაზგოში დაბრუნდა.

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ 23 წლის ხიზანიშვილი 1 სექტემბრამდე მაინც დატოვებს „რეინჯერსს“, რომელთანაც კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

# ფედერაციამ ახალაია ფიფას გადაულოცა

## დარსაძემ საუკრაინო-სადანიო საქართველო გაამზადა

საქართველოს ეროვნული ნაკრების საუკრაინო და სადანიო შემადგენლობა ცნობილია — ციურიხელი ლადო ახალაია გუნდში აღარ გამოიძახეს და მის საკითხს გასარკვევად ფიფას გადასცემენ.

გაიოზ დარსაძემ კვლავ არ უხმო ნაკრებში შოთა არველაძეს და ვიტალი დარასელიას, სამაგიეროდ, დაუძახა უთამაშებელ გოგიტა გოგუას. მწყობრშია გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი, თუმცა დარსაძეს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, რა პოზიციაზე ათამაშოს ის ნაკრებში, რომელსაც ფედერაცია პრემიებს ველარ უწესებს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

## თასი იწყება

**დღეს**

ბათუმი — გურია

კოლხეთი — მაღაროელი

ზესტაფონი — ზუგდიდი

**ხვალ**

ამერი — მეშახტე

თბილისი — რუსთავი

სიონი — ლიახვი

ცხინვალი — გაგრა

ბორჯომი — მერანი

დილა — მესხეთი

კახეთი — ჩიხურა

სპარტაკი — სამგორი

სოხუმი — საგარეჯო

# ბატონ ელჩს, ქალბატონ მინისტრს

## ნუგზარ მიქაძე კითხულობს: რატომ?



# რა ხდება დღეს ნაკრებში?

## ერთადერთი მამოძრავებელი ძალა: თქვენ ეროვნულ გუნდში თამაშობთ




ბაჩო კორინთელის ფოტო

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მისმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ პრესკონფერენცია გამართეს — 3 და 7 სექტემბერს ჩვენს უმთავრეს გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შინ უკრაინასთან და სტუმრად დანიასთან მატჩები ელის და გუშინდელი პრესკონფერენციის მთავარი თემაც ეს იყო.*

*ახალკაცმა ჯერ ფედერაციის ახალი პრესმდივანი, სანდრო ცნობილაძე წარმოგვიდგინა და საშესავლო სიტყვაც მერე მოგვახსენა...*

*ახალკაცი:* ეროვნული ნაკრები ორშაბათს, 29 აგვისტოს შეიკრიბება, რათა უკრაინასთან მატჩისთვის კარგად მოემზადოს. ყაზახეთთან თამაშამდე სრული შემადგენლობით გუნდი დღენახევრით ადრე შეიკრიბა და ასეთი რამ აღარ უნდა მოხდეს. მოგეხსენებათ, სანქციების გამო უკრაინასთან მატჩს გულშემატკივრები ვერ დაესწრებიან, რაც საქმეს გვირთულებს — მაყურებლის მხარდაჭერას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს. ყაზახეთთან შეხვედრაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველად შემოატრიალა თამაში — ვაგებდით და მოვიგეთ. ერთი სიტყვით, გუნდში საბრძოლო განწყობაა. ყაზახეთში ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც გაიმარჯვა — თითოეულ ასეთ წარმატებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ფეხბურთელებს თავდადება ვთხოვეთ და ჩვენი მხრიდანაც ვაგრძნობინეთ, რომ საქმისადმი მიდგომა იცვლება, ყველანაირად ვცდილობთ, ფეხბურთელებს მაქსიმალურად კარგი პირობები შევუქმნათ. ყაზახეთთან მატჩისთვის ფეხბურთელებს არ დასჭირვებიათ თავიანთი ჩანთების თრევა და აეროპორტში ბარგისთვის ლოდინი. ეს პატარა დეტალია, მაგრამ ფეხბურთელებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი ხელშეწყობით დაინტერესებული არიან.

**— ყაზახეთთან მატჩისთვის გამოძახებული იყო ლადო ახალაია, მაგრამ ის სანაკრებო შეკრებაზე არ გამოცხადდა, არადა, ტრავმირებული არაა და „ციურიხში" თამაშობს კიდეც...**

*ახალკაცი:* დაზუსტებული ინფორმაცია არ გვაქვს, თუ რატომ არ გამოცხადდა ახალაია ნაკრებში, ფაქტია, რომ ის არ ჩამოვიდა და ტრავმირებულიც არ იყო. მოსკოვის „ლოკომოტივმა" კი ოფიციალურად გვაცნობა ასათიანის ტრავმის შესახებ. სამწუხარო და გაუგებარია, ახალაია რომ ვერ ჩამოვიდა, ნაკრების აბუჩად აგდების უფლება არავის აქვს. ახალაია ნაკრებში აღარ გამოვიძახეთ, ამ საკითხის გარკვევის თხოვნით კი ფიფას წერილს გავუგზავნით. ფიფას რეგლამენტით, კლუბმა უნდა უზრუნველყოს ფეხბურთელის ნაკრებში გამგზავრება და ფედერაციამ ამის მერე უნდა აუნაზღაუროს კლუბს ხარჯები. „ციურიხმა" ახალაიას შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოგვაწოდა.

**— შოთა არველაძე წარმატებით თამაშობს თავის ახალ კლუბში, იგივე ითქმის ვიტალი დარასელიაზეც, მაგრამ მათ ნაკრებში არ იწვევთ, ხოლო გოგიტა გოგუას მაინც იძახებთ, არადა, კარგა ხანია, მას სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია...**

*დარსაძე:* ამ ეტაპზე ამ შემადგენლობაზე შევჩერდით, მერე კი ვნახოთ.

**— ახალგაზრდულ ნაკრებში რატომ აღარაა გამოძახებული მათე ღვინიანიძე?**

*დარსაძე:* ის ვარჯიშზე დაშავდა და ერთთვიანი მკურნალობა მოუწევს. ახალგაზრდული ნაკრების ბირთვს 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელები შეადგენენ და ისინი დანიასთან მატჩის შემდეგ პირდაპირ ესტონეთში გაემგზავრებიან 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სათამაშოდ.

**— მომავალ მეტოქეებზე, უკრაინის და დანიის ნაკრებებზე რას გვეტყვით?**

*დარსაძე:* ორივე მეტოქე სერიოზულია, ამას ადასტურებს უკრაინის სატურნირო მდგომარეობა და დანიის ამასწინანდელი ამხანაგური მატჩი ინგლისთან. მეტს ვერაფერს გეტყვით, ახლა მუშაობის სტადიაში ვართ.

**— სად დაბინავდება ნაკრები უკრაინასთან მატჩისთვის მოსამზადებლად?**

*დარსაძე:* სავარაუდოდ, ნაკრების ბაზაზე.

*ახალკაცი:* ნაკრების ბაზაზე ვარჯიში შეუძლებელია, თუ იქ მოედნის საფარს არ შევცვლით. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება მოედნის დამგებ ფირმებთან, რათა მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის ნაკრებს ეს პრობლემა აღარ აწუხებდეს. ახლა კი ნაკრები ალბათ თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში ივარჯიშებს, შესაძლოა, „თბილისის" სტადიონზე ავლაბარშიც. მადლობას ვუხდი ამ კლუბის დამფუძნებელ თემურ უგულავას, რომელმაც ამის ნება დაგვრთო, თუმცა ნაკრების ბაზიდან ამ სტადიონზე მისვლა-მოსვლას ერთი საათი უნდა.

**— უკრაინა-დანიასთან მატჩებზე ფეხბურთელებს პრემიებს არ დაუწესებთ?**

*ახალკაცი:* მიმდინარე შესარჩევ ციკლში მოპოვებულ პირველ ხუთ ქულაზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 770 000 ლარი მიიღო — ამის საშუალება ახლა არ გაგვაჩნია, ეს რომ გავაკეთოთ, შესაძლოა, საბერძნეთში ველარ გავამგზავროთ გუნდი. პრემიების საკითხზე ვმუშაობთ, იქნებ რაღაც გამოსავალი გამოვნახოთ, ჯერჯერობით კი ერთადერთი მამოძრავებელი ძალა ისაა, რომ ეს ეროვნული ნაკრებია და ფეხბურთელები თავიანთი ქვეყნის ინტერესებს იცავენ. ადრე ქართული ფეხბურთი არასანდო პარტნიორად აღიქმებოდა, ახლა კი ვცდილობთ, სპონსორები შემოვატრიალოთ. იმედი გვაქვს, მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის ამას მოვახერხებთ.

**— საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების პალანგის ტურნირში თამაშზე რას გვეტყვით?**

*ახალკაცი:* გუნდი ლიტვაში შედეგისთვის კი არა, გამოცდილების მისაღებად გავუშვით. 17-წლამდელთა ნაკრებმა ჩვენი ეროვნული ნაკრების სათამაშო სტილი უნდა გაითავისოს — პრესინგი და სწრაფი მოქმედება.

**— მალხაზ ასათიანს რა პოზიციაზე უპირებთ გამწესებას?**

*დარსაძე:* ასათიანს ტელეფონით ვესაუბრე და მითხრა, რომ მცველობას წინ თამაში ურჩევნია. ერთი სიტყვით, ვნახოთ, ამ საკითხზე კიდევ უნდა ჩამოვყალიბდეთ.

**— დარსაძის თანაშემწე ვინ იქნება?**

*ახალკაცი:* დარსაძეს თენგიზ სულაქველიძე დაეხმარება, ხოლო მეკარეების მწვრთნელი ეროვნულ ნაკრებში მამუკა აბუსერიძეა. აბუსერიძე თბილისის „ლოკომოტივშიც" მუშაობს და მადლობა კლუბს, რომ მას ნაკრებში საქმიანობის საშუალებაც მისცა. რაც შეეხება ოთარ გაბელიას, ის ახალგაზრდულ ნაკრებში კობა ჟორჟიკაშვილს დაეხმარება — მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც იქნება და მეკარეების მწვრთნელიც.

**დავით თამართქილაძე**

## საქართველოს ეროვნული ნაკრები

### მეკარეები

ზვიად სტურუა (დინამო)
გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი)

### მცველები

ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია)
ზურაბ ხიზანიშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია)
მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი)
კახა კალაძე (მილანი, იტალია)
ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)
ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი)

### ნახევარმცველები

კახაბერ ალადაშვილი (დინამო)
დავით ოდიკაძე (დინამო)
ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია)
გოგიტა გოგუა (ხიმკი, რუსეთი)
გიორგი განუგრავა (ზესტაფონი)
ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი)
გიორგი გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია)
კახაბერ ჩხეტიანი (ზესტაფონი)

### თავდამსხმელები

დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია)
გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი)
ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია)
მიხეილ აშვეთია (როსტოვი, რუსეთი)

## ახალგაზრდული ნაკრები

***მეკარეები:*** *ნუკრი რევიშვილი (ტორპედო), რევაზ თევდორაძე (თბილისი);*

***მცველები:*** *გიორგი ელბაქიძე (ამერი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ლერი ხოხონიშვილი (თბილისი), ზურაბ გვაძაბია (ამერი);*

***ნახევარმცველები:*** *შოთა გრიგალაშვილი (დინამო), ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო), კახა მახარაძე (დინამო), მირზა ბჟალავა (ამერი), გოგა გიორგიძე (ზესტაფონი);*

***თავდამსხმელები:*** *ლადო ლაფერაშვილი (ზესტაფონი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), გოგი ფიფია (თბილისი).*

### იტალია

თასი. III ეტაპი

ბრეშა 1:0 კიევო

### ინგლისი

კარლინგის თასი

საუთენდი 0:3 საუთჰემპტონი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. V ტური

ვალენსიენი 0:1 ბასტია

### გერმანია

თასი. I ეტაპი

ბრაუნშვაიგი 2:1 დორტმუნდი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. III ტური

ზლინი 3:1 სლოვაცკო

მოსტი 4:0 ბანიკი

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. VII ტური

შტურმი 0:2 გრაცერი

### ჰოლანდია

II დივიზიონი. III ტური

ოსი 2:1 ეინდჰოვენი

კამბური 1:1 ტელსტარი

სიტარდი 0:2 ვენლო

ზვოლე 2:1 ვეენდამი

ჰელმონდი 3:3 ექსელსიორი

ალმერე 2:3 დენ ბოსხი

ჰაარლემი 2:3 დორდრეხტი

ემენი 2:2 იგლსი

გრააფსხაპი 3:0 აპელდორნი

მასსტრიხტი 0:2 ვოლენდამი

### შვედეთი

ალსვენსკა

XIX ტური

სუნდსვალი 5:0 ასირისკა

ჰელსინგბორგი 1:0 ლანდსკრონა

ჰეკკენი 1:3 ჰამარბი

### ისლანდია

პრიმერადივიზიონი

XV ტური

ფრამი 1:2 ფილკირი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

3 ტურის მიმოხილვა

# ტაბლო მომენტებს არ ითვლის



[illegible] ფოტო

**რით** სჯობია ფეხბურთი ბილიარდს? მარტო პოპულარობას ნუ ამოვიჩემებთ: ბილიარდში ჩახედავ სტატისტიკას და საკამათო არაფერი დარჩება, ფეხბურთში კი ნებისმიერი თამაში, თუნდაც ერთი ტაიმი ან პატარა მონაკვეთი სადავო ხდება, ერთი შეხედვით სუსტი ძლიერს, დაუმსახურებელი დამსახურებულს უგებს...

რაზე მოვაყოლეთ: აგერ, საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურში ორმა გამორჩეულმა მატჩმა ათასმეერთედ წაგვიყვანა ბანალური ფრაზისკენ — ფეხბურთი ლოგიკას არ ექვემდებარება. ჯერ ჩემპიონატის მეათედი გასრულდა და ვინ იცის, რამდენი „სიონის" დარი გუნდი-სიურპრიზი ამოიზრდება ცხრილის თავში...

## პირველ ტაიმში ძლებ, მეორეში ხვრელები

თბილისის „დინამომ" წლევანდელი ევროსარბიელი გაიხსენა, ანუ წააგო. წააგო არწასაგები თამაში და კახა ცხადაძეც იმაზე გაბრაზდა, ამდენი საგოლე მომენტების განიავებას ასე არ დავტოვებ, კლუბის ხელმძღვანელობასთან დავაყენებ საკითხს, რათა ფეხბურთელები დაისაჯნონო. ბაბუნაშვილ-ოდიკაძის ძელსგარტყმული ბურთები, ფეროელთა აქალახებული საჯარიმო მოედანი — რას იზამ, არა და არ შევიდა ბურთი „ზესტაფონის" კარში.

„ზესტაფონი" — ამ გუნდმა „დინამოსთვის" უკვე დაიგდო მტარვალის სახელი. როგორც საქმეა, ფეროელები წლეულს უკვე მესამედ, თანაც შეკვეთილივით სულ 1:0-ს უგებენ დინამოელებს.

დაახლოებით „ზესტაფონურად მოიგო" „ლოკომოტივმაც". კი, როდესაც ტაბლოზე 3:0 ანთია, რომელ იღბალზეა ლაპარაკი, მაგრამ „ამერს" რომ პირველ ტაიმში გასატანები გაეტანა, ეს ციფრები შესვენებისთვის პირიქით უნდა ყოფილიყო შეტრიალებული — 0:3. „ლოკომოტივმა" სეზონში პირველად მოიგო, საამისოდ კი მეორე ტაიმი და ამერელთა მეკარე გიორგი ნიკურაძის უხეში შეცდომა ეყო.

## ნუდნიმ ყიფიანი გაიმეორა

გვახსოვს, საქართველოს პირველივე ჩემპიონატში იმხანად „შევარდენში" მოთამაშემ და ამჟამად „ლოკომოტივის" გენერალურმა დირექტორმა ლევან ყიფიანმა ულამაზესი მაკრატელა გაიტანა.

მოგვიანებით ყიფიანისთვის ზაზა ჯანაშიასა და კახა კალაძესაც კი მიუბაძავთ, მაგრამ ასეთი შედევრი გოლებით განებივრებულები როდი ვართ. და აი, „ზესტაფონის" სერგეი ნუდნიმ ერთხელაც გაგვახსენა: მოლდოველმა „დინამოს" საჯარიმოში მკერდით გაიჩერა ბურთი და ისეთი მაკრატელა მიაყოლა, თქვენი მოწონებული. სხვათა შორის, ნუდნი უკვე ერთი წელია, ფეროელია და მხოლოდ მეორედ გაიტანა...

## ზაზამ თქვა, ზამირმა გვაჩვენა

ზაზა ჯანაშია ერთხელაც უნდა ვახსენოთ: 5-6 წლის წინ მან რუს ჟურნალისტებს უთხრა, უმცროსი ძმა მყავს, რომელიც ჩემზე უკეთესი ფეხბურთელი დადგებაო. და აი, მოსკოვიდან. ფოთის „კოლხეთში" ჩამოსული 17 წლის ზამირ ჯანაშია „სპარტაკთან" მეორე ტაიმში გამოვიდა მინდორზე და ამბები დატრიალაო... იფინტავა, დაკარგულ ბურთებზე იბრძოლა და კოლხია გამარჯვების გოლიც 90 პროცენტით მისი გამომერწილი იყო. ჯერ ადრეა ქება-დიდება. უბრალოდ, ვისურვოთ — უმცროსი ძმა სჯობდეს უფროსს...

## როდის დაიწყებს მელქაძე?

წინა სეზონში დინამოელმა ლევან მელქაძემ გოლებს ისე მიგვაჩვია, გვეუცნაურება, ამ სამ ტურში ერთხელაც რომ ვერ იხეირა. ამას თუ „ბრონდბიუსთან" თამაშებს მივუმატებთ, მელქაძეს ხუთმატჩიანი მშრალი სერია გამოსდის.

უკვე დროა, ლევან...

## მოდაშია ექვსიანი

ბოლოს უშუალოდ ცხრილსაც შევხედოთ: შვიდქულიანი ბოლნისის „სიონი" ერთპიროვნულად მოექცა კენწეროში, მას კი ექვსქულიანთა შვიდგუნდიანი კოლონა მისდევს. „სიონისა" და „ლოკომოტივის" გარდა წაუგებელი არავინ დარჩა. ცხრილის ძირში კი გიორგი დევდარიანის უქულო-უგოლო „თბილისია", სადაც 16-17 წლის ბავშვები თამაშობენ, მაგრამ ახლა კოჭებში ეტყობათ, მოუმატებენ და ქულების აკრეფასაც დაიწყებენ. კინკილა ქულა კი უჩხრიალებთ, მაგრამ ჯერაც გოლუნახავები არიან ქუთაისის „ტორპედო" და „სპარტაკი". გიგლა იმნაძის გუნდისა რა გითხრათ, იმერლებს კი ფინანსურად არ უჭირთ და აგვისტოს ბოლომდე თუ არა, ზამთრიდან მაინც გაძლიერდებიან...

**ილია ნანოგაშვილი**

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| ბექა ჩიტაია | ცხინვალი |
| გიორგი კახელიშვილი | ლოკომოტივი |
| დავით სირაძე | ლოკომოტივი |
| გრიგოლ დოლიძე | სიონი |
| პაატა დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| სერგეი ნუდნი | ზესტაფონი |
| რევაზ გეწაძე | ბორჯომი |
| დავით იმედაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| დავით სვანიძე | სიონი |
| ლევან გორჩაშვილი | დილა |
| ზურაბ ძამსაშვილი | ზესტაფონი |

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 2-მეგრელაძე | დინამო |
| დვალი | სიონი |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| რუსია | სოხუმი |
| ს. ბურნაძე | ბორჯომი |
| ბ. ჩიტაია | ცხინვალი |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ცხინვალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბათუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ტორპედო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| სოხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| თბილისი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „გივი ჩოხელი" თელავი | კახეთი 0:1 ვიტ ჯორჯია | 8,5 | 8,0 | 7,5 | 8,0 |
| „ტორპედო" ქუთაისი | ზესტაფონი 1:0 დინამო | 9,0 | 7,0 | 7,0 | 7,6 |
| „მიხეილ მესხი" თბილისი | ლოკომოტივი 3:0 ამერი | 9,0 | 7,0 | 5,0 | 7,0 |
| „დინამო" ბათუმი | ბათუმი 0:1 სიონი | 6,5 | 6,5 | 5,5 | 6,1 |
| „თენგიზ ბურჯანაძე" გორი | დილა 2:0 ტორპედო | 7,0 | 6,5 | 5,0 | 6,1 |
| „ფაზისი" ფოთი | კოლხეთი 1:0 სპარტაკი | 7,0 | 6,5 | 5,0 | 6,1 |
| „შევარდენი" თბილისი | სოხუმი 1:3 ბორჯომი | 8,0 | 6,5 | 3,0 | 5,8 |
| „ოლიმპი" თბილისი | თბილისი 0:2 ცხინვალი | 7,0 | 7,0 | 2,0 | 5,3 |

### მომდევნო ტური

27 აგვისტო, შაბათი

სპარტაკი – სოხუმი

ცხინვალი – ზესტაფონი

28 აგვისტო, კვირა

ამერი – დინამო

ვიტ ჯორჯია – თბილისი

ბორჯომი – კახეთი

სიონი – კოლხეთი

ტორპედო – ბათუმი

29 აგვისტო, ორშაბათი

ლოკომოტივი – დილა



# გულის მობრუნება

## გახოკიძის დიდი წილი და დიდი მადლობა

*თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ 27 წლის გოგა გახოკიძე ნაკრებს დაუბრუნდა. ჰოლანდიური „ტვენტეს“ ქართველი ნახევარმცველი ბოლოს 2003 წლის 10 სექტემბერს მიიწვიეს ალბანეთის ნაკრებთან სათამაშოდ, თუმცა... გეხსომებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან (რომელიც იმავდროულად ნაკრების დროებითი მწვრთნელიც იყო) კონფლიქტი მოუვიდა და ფიფამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.*

*მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, გახოკიძეს ალენ ჟირესმაც რამდენჯერმე უხმო, მაგრამ ფეხბურთელს ტრავმა არ აძლევდა თამაშის საშუალებას და...*

*აი, გოგა მაინც დაბრუნდა, თანაც ძალიან შთამბეჭდავად. მართალია, ყაზახეთის ნაკრები დიდი ვერაფერი ხვითოა, მაგრამ მოგება მაინც მოგებაა და ამაში გახოკიძემ თავისი წილი დაიდო...*

— ძალიან მიხარია, რომ ნაკრებში დავბრუნდი. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ნაკრების თავკაცებისგან დიდი ყურადღება ვიგრძენი, რაც უმნიშვნელო ამბავი არაა — გვითხრა გოგამ გუშინ, ჰოლანდიაში რომ დავუკავშირდით — ასეთი გარემო თუ შენარჩუნდება გუნდში, ამას რა აჯობებს. ისე კი, მინდა, ალენ ჟირესსა და გია გურულსაც დიდი მადლობა გადავუხადო — თავის დროზე ისინიც არ მაკლებდნენ ყურადღებას, მაგრამ ტრავმებმა გამაწამა და ნაკრებს ვერაფრით ვეხმარებოდი.

**— და ახლა როგორ გრძნობ თავს?**

— ბოლომდე ჯერაც არ გამოვჯანმრთელებულვარ. რუსეთში და უკრაინაში ყოფნისას ბევრი დრო გამიცდა და როცა „ტვენტეში“ დავბრუნდი, დატვირთვებს ველარ გავუძელი. საზარდულმა ძალიან დამტანჯა. ამიტომაც იყო, რომ ყაზახეთში თამაშის მერე ჰოლანდიის ჩემპიონატში მხოლოდ 45 წუთი ვითამაშე. ძირითადისთვის მზად არ ვიყავი.

**— ადრინდელ და ახლანდელ ნაკრებს შორის რა განსხვავება დაინახე?**

— ახლა უფრო მეტი მონდომება ეტყობა გუნდს. კარგია, რომ ახალგაზრდებიც ბევრნი არიან. ისინი გამოცდილებას შეიძენენ და უფრო სწრაფად გაიზრდებიან, რაც სამომავლოდ გამოგვადგება.

**— ყაზახეთთან მატჩშიც გამოჩნდა, რომ არცთუ ურიგო ფორმაში ხარ...**

— თავს ნორმალურად ვგრძნობ, მაგრამ ვატყობ, კიდევ შემიძლია მომატება. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო.

**— „ტვენტეზე“ რას გვეტყვი. ჰოლანდიაში წლეულს დაბრუნდი და დიდი ცვლილებები დაგხვდა გუნდში?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. ევროსაგზურისთვის ვიბრძვით და ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია. თან ახლა ჰოლანდიაში ახალი წესი შემოიღეს — მესამე ადგილიდან მეცხრე ადგილამდე გასული გუნდები უეფას თასზე მოსახვედრად პლეი ოფში შეხვდებიან ერთმანეთს. ასე რომ, შეიძლება მეცხრე ადგილზე გახვიდე, მაგრამ უეფას თასის საგზური მაინც მოიპოვო. მოკლედ, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

**ძობა ინასარიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. თასის პირველი ეტაპი** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ბრემერჰავენი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | პადერბორნი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ზიგენი 1:0 | 86 | 1 გოლი, შეცვალეს | 1 | 1 | |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ზიგენი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | ბურგჰაუზენი 3:2დ.დ. | 90 | | 1 | 0 | |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | შტუტგარტი (მ) 1:1 | 66 | შეცვალეს | 3 | 2 | 12 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | სელტიკი 3:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | უტრეხტი 2:1 | 90 | | 2 | 2 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ნაიმეგენი 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 16 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | შ | მოსკვა 1:0 | 76 | შეცვალეს | 6 | 1 | 16 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | შ | მოსკვა 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 16 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | ს | ტომი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 7 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 90 | | 16 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 90 | | 12 | 0 | 14 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 90 | | 12 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 14 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 14 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | სატურნი 1:1 | 90 | | 3 | 2 | 14 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ამკარი 0:1 | 90 | | 15 | 0 | 4 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ამკარი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | ჩელიაბინსკი 2:1 | 0 | | 12 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | ჩელიაბინსკი 2:1 | 0 | | 5 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ურალი 2:0 | 0 | | 14 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | სოკოლი 2:1 | 90 | | 22 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | სკა-ენერგია 2:0 | 0 | | 11 | 0 | 12 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ლუჩ-ენერგია 3:4 | 90 | 2 საგოლე პასი | 23 | 2 | 19 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ფაკელი 0:2 | 90 | | 26 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ხიმკი 1:2 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ტავრია 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ტავრია 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | შახტარი 1:5 | 90 | 1 გოლი | 6 | 4 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | არსენალი 1:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 6 | 2 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | ხარკოვი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 14 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | ს | ვორსკლა 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | იანგ ბოისი 1:3 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 5 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 1:1 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 14 | 1 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | მეტალურგსი 1:1 | 90 | | 17 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 1:1 | 0 | | 6 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | შ | სკონტო 1:1 | 90 | | 18 | 0 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | ოლიმპი 6:1 | 90 | | 15 | 2 | 3 |
| გოგა მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | ოლიმპი 6:1 | 0 | | 6 | 1 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | ჟეტისუ 4:2 | 55 | 2 გოლი, შეცვალეს | 16 | 5 | 8 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | თარაზი 1:0 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 11 |
| დავით ქიქველიშვილი | ატირაუ | ს | ბოლატი 2:0 | 45 | შეცვალეს | 4 | 0 | 9 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | შ | ოკჟეტპესი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# შვეიცარული ზღაპარი



რიისეა და სისეს (9) „ლივერპული“ ცალი ფეხით ჯგუფურ ეტაპზეა

**დიდიე დეშანის** „მონაკო“ რთულ ვითარებაში ჩავარდა. ფრანგებმა „ბეტისთან“ პირველ მატჩში ერთადერთი გოლი შეხვედრის ბოლო წუთზე გაუშვეს და დასანანი მარცხი იწვნიეს. ახლა, ამ ბურთის ამოქაჩვაა საჭირო, მაგრამ „ლუი მეორის“ ბინადრებს ამის გაკეთება წამყვანი ფორვარდების გარეშე მოუწევთ, რაც ერთი-ორად რთულია.

ურუგვაელმა თავდამსხმელმა ხავიერ ერნესტო ჩევანტონმა გასულ შაბათს „ბორდოსთან“ მატჩში ტრავმა მიიღო და გუნდს ვერ დაეხმარება. საეჭვოა ემანუელ ადებაიორის თამაშიც. დეშანის განკარგულებაში ამჟამად სულეიმან კამარა და ახალგაზრდა თავდამსხმელი დავიდ გილიოტი არიან. გამორიცხული არ არის, დეშანმა შეტევაში ტოფილუ მალუდა გადაწიოს.

მინდორზე ვერ გავა ფრანგთა კიდევ ერთი ლიდერი გაელ ჟივეც. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა გამოცდილი გოლკიპერი ფლავიო რომა. „ბეტისი“ კი „ლუი მეორეს“ ფაქტობრივად უდანაკარგოდ სტუმრობს.

ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული „ლივერპული“, თუ სასწაული არ მოხდა, ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოხვდება ჯგუფურ ეტაპზე. საქმის ბოლომდე მიყვანაში მერსისაიდელებს მათი კაპიტანი და ლიდერი სტივენ ჯერარდი ვერ დაეხმარება. იგი „სანდერლენდთან“ მატჩში დაშავდა და დაახლოებით ორისამი კვირით დასვენება მოუწევს.

იტალიურმა „უდინეზემ“ პირველი თამაში კი მოუგო „სპორტინგს“ ლისაბონში, მაგრამ წესით, მაინც გვარიანად ინერვიულებს მიზნის მისაღწევად. ორივე გუნდი მატჩისთვის სრული შემადგენლობითაა მზად.

ზეიმისთვის ემზადებიან შვეიცარიაში. კერძოდ, პატარა კლუბ „თუნის“ გულშემატკივრები. გუნდი, რომელიც ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ მესამე დივიზიონში სამოყვარულო ფეხბურთს თამაშობდა, დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლასთან ძალიან ახლოსაა.

საკმაოდ ძლიერი მეტოქის, კიევის „დინამოს“ ძლევის შემდეგ „თუნმა“ შვედურ „მალმიოს“ გასვლაზე 1:0 მოუგო და ახლა ისღა დარჩენია, საკუთარ კედლებში არ დამარცხდეს. სკანდინავიელები შვეიცარიას ოლაფ პერსონისა და პატრიკ ანდერსონის (რომელმაც ცოტა ხნის წინ კარიერის დასრულება გადაწყვიტა) გარეშე სტუმრობენ. საეჭვოა, გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალის იარი ლიტმანენის მინდორზე გასვლაც. ასე რომ, „მალმიოს“ ორრაუნდიანი ბრძოლის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა ძალიან გაუჭირდება.

„თუ ჯგუფურ ეტაპზე გასვლას შევძლებთ, ეს ახდენილი ოცნებასავით იქნება და ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახდება. გუნდში ძალიან ამაღლებული და საბრძოლო განწყობაა. იმედია, მიზნის მიღწევას მოვახერხებთ. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ დიდი გამარჯვების მოპოვება ღარიბ კლუბებსაც ძალუძთ“ — თქვა „თუნის“ კაპიტანმა ანდრეს გერბერმა.

საინტერესო მატჩი გველის ტრონჰეიმში. წესით, გამოცდილი „რუსენბორგისთვის“ საგარეო 1:1-ის მერე შინ სასურველი შედეგის მიღწევა პრობლემა არ უნდა იყოს, თუმც ნორვეგიული კლუბის ბოლოდროინდელი თამაში არც ისე დამაჯერებელია და არც „სტიაუაა“ ჯაბანი.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ და ბელგრადის „პარტიზანი“ შინ ტრადიციულად ძლიერად თამაშობენ. შესაბამისად, გასვლითი ფრეების შემდეგ ორივენი ფავორიტებად მიიჩნევიან.

ბერძნულ „პანათინაიკოსს“ კი ძალიან გაუჭირდება. ათენელებმა კრაკოვში ორი ბურთით წააგეს, ხოლო „ვისლასთან“ ასეთი ფორის ამოქაჩვა ნებისმიერი კლუბისთვის რთული საქმეა, თუმც მასპინძლები საკუთარი კედლების იმედზე არიან. იქაური ატმოსფეროსა და ბერძენი ქომაგების ამბავი თავადაც კარგად მოგეხსენებათ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი (რუსეთი) | — | რაპიდი (ავსტრია) (1:1) |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | პეტრჟალკა (სლოვაკეთი) (0:0) |
| თუნი (შვეიცარია) | — | მალმიო (შვედეთი) (1:0) |
| მონაკო (საფრანგეთი) | — | ბეტისი (ესპანეთი) (0:1) |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | — | ვისლა (პოლონეთი) (1:3) |
| როსენბურგი (ნორვეგია) | — | სტიაუა (რუმინეთი) (1:1) |
| უდინეზე (იტალია) | — | სპორტინგი (პორტუგალია) (1:0) |
| ლივერპული (ინგლისი) | — | ცსკა (ბულგარეთი) (3:1) |

# დღეს ღამურების საღამოა?

**ინტერტოტოს თასის** ფინალის ყველაზე გამორჩეული მატჩი „მესტალიაზეა“. გერმანიაში განცდილი მარცხის შემდეგ „ღამურები“ სასურველი ანგარიშით მოგებისთვის თავს არ დაზოგავენ და თუ მათ ახალ თავკაც კიკე სანჩეს ფლორესს ვენდობით, გუნდს ამის გაკეთება ძალუძს.

მასპინძლებს ფონს გასვლა ახალწვეული ედუს გარეშე მოუწევთ. ბრაზილიელმა მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა და ალბათ ექვსი თვე ველარ იბურთავებს. სამაგიეროდ, იგეგმება „ბენფიკადან“ ნაყიდი მიგელის დებიუტი.

ვინძლო „ჰამბურგს“ მართლაც ძალიან გაუჭირდეს. მართალია, კლუბი მშვენიერ ფორმაშია და ამას ბუნდესლიგაშიც ადასტურებს, მაგრამ გუნდის მთავარ მეგოლეს, ერთპიროვნულ ლიდერსა და კაპიტანს სერგი ბარბარესს ევროტურნირებზე ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. მოგეხსენებათ, პირველ შეხვედრაში ერთადერთ გოლის ავტორი ბოსნიელი უხეშობისათვის მინდვრიდან გააძევეს, შემდეგ კი უეფამ ორმატჩიანი უქმობით დასაჯა.

ფრანგული „ლანსი“ მეტოქეს ერთ-ერთი ლიდერის ჟერომ ლეროის გარეშე დაუხვდება. 30 წლის ფეხბურთელმა პირველ მატჩში „კლუჟის“ ფეხბურთელს სახეში ხელი გაარტყა, რისთვისაც სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. მიუხედავად ამისა, ფავორიტად მაინც „ლანსი“ ითვლება, მაგრამ პატარა რუმინულმა კლუბმა წლეულს უკვე იმდენჯერ გაგვაოცა, რომ გამორიცხული არაფერია.

მეორე ფრანგული კლუბი „მარსელი“ კი, სავარაუდოდ, განწირულია. „ველოდრომის“ ბინადრებმა ეროვნულ ჩემპიონატში უკვე 4 მატჩი გამართეს და ძალიან უსახურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. შესაბამისად, ძნელი სავარაუდოა, „მარსელმა“ ლა კორუნიის „დეპორტივოს“ ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოუქაჩოს.

**გიორგი ძაძაბაძე**



რუბენ კასტროს (მარცხნივ) „დეპორტივო“ უპირობო ფავორიტია

## ინტერტოტოს თასი 2005

### ფინალი. საპასუხო მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია (ესპანეთი) | — | ჰამბურგი (გერმანია) (0:1) |
| ლანსი (საფრანგეთი) | — | კლუჟი (რუმინეთი) (1:1) |
| მარსელი (საფრანგეთი) | — | დეპორტივო (ესპანეთი) (0:2) |



სილვიო ბერლუსკონიმ კარლო ანჩელოტი კვლავ გააკრიტიკა

# აურზაური არაფრის გამო?

## ანჩელოტი საუკეთესოა, მაგრამ ბერლუსკონიმ ყველაზე კარგად იცის

**ისევ** ძველი ისტორია მეორდება: „მილანის“ მეპატრონე და იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი „შავ-წითელთა“ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის აკრიტიკებს. მართალია, შემდეგ, ტრადიციისამებრ ბერლუსკონიმ მდგომარეობის გამოსწორება სცადა, მაგრამ ეს გამოსწორებები თითქოს მეორეხარისხოვან ამბავადაც კი იქცევა ხოლმე — მთავარია, რომ აჟიოტაჟი ატყდა და მთელი ქვეყანა იმ პირველმა, კრიტიკულმა გამონათქვამმა აალაპარაკა.

თან, რაც ძალიან საინტერესოა, საქმე წაგებული კი არა, მოგებული თამაშის შემდეგ აირია — საუბარი „ტროფეო ბერლუსკონიზე“ „იუვენტუსის“ 2:1 დამარცხებას ეხება. მაშინდელ პრესკონფერენციაზე პრემიერს ისე გამოუვიდა, ასეთი ფეხბურთელების პატრონ გუნდს მწვრთნელი სულაც არ სჭირდებაო.

„ცუდ მკერავს ტანსაცმლის გაფუჭება შეუძლია, — ბრძანა „მილანის“ ბატონ-პატრონმა, — ანჩელოტის ვუთხარი, ასეთი ფეხბურთელების მწვრთნელი მეც ვიქნებოდი, მეთქი.“

ახლა გეკითხებით, რას ნიშნავს ეს ნათქვამი და როგორ შეიძლება მისი ინტერპრეტაცია? თან, გეხსომებათ რა ამბავი დააწია ბერლუსკონიმ ანჩელოტის ადრე, ერთი თავდამსხმელით თამაშის გამო. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ მისი მხრიდან მწვრთნელის საქმეებში ჩარევა და კრიტიკა, თან საჯარო, პირველად არ ყოფილა.

საინტერესოა, რომ ანჩელოტის მისი ყოფილი თანაგუნდელი, ხორვატი ზვონიმირ ბობანი გამოექომაგა. ბობანმა „გაძეტა დელო სპორტში“ ღია წერილი გამოაქვეყნა, სადაც ამბობს:

„ბერლუსკონიმ ერთი ნაბიჯით უკან უნდა დაიხიოს. მისი მუდმივი კრიტიკა, მათ რიცხვში სათამაშო სისტემის თაობაზე „მილანის“ გასახდელში დაძაბულობას და ცუდ კლიმატს ჰქმნის“



ზვონიმირ ბობანი

ამბავი კი მართლაც იმოდენა ატყდა, რომ საკუთრივ კარლო ანჩელოტიც იძულებული შეიქნა პრეს კონფერენცია მოეწვია, სადაც განაცხადა, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნას არც მეტი, არც ნაკლები, დაეჩვია.

„ბუზისგან სპილო შექმნეს, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — ჩემი სიტყვები კონტექსტიდან მოგლეჯით გაიგეს და არ დაუკვირდნენ, რომ პიროვნულად ანჩელოტისთან არაფერი საპრეტენზიო არ მაქვს. მე უფრო ფეხბურთში არსებულ ბიუროკრატულ და კონსერვატულ სტილს ვგულისხმობდი.“

მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „მილანმა“ ვერც ერთი ჯილდო ვერ მოიგო, რის გამოც აგორდა ჭორები, თითქოს ბერლუსკონი ანჩელოტის მარკო ვან ბასტენით შეცვლას უპირებდა.

„გასულმა სეზონმა მწვრთნელის შესაცვლელად ჩინებული მიზეზი მომცა, მაგრამ ხომ ხედავთ, ანჩელოტიზე კარგი არავინ მეგულება და გუნდიდან არ გამიშვია. გარდა ამისა, ფაქტია, რომ მე ნებისმიერ სხვა ადამიანზე უკეთ ვიცი როგორ შევქმნა გამარჯვებული საფეხბურთო კლუბი. „მილანში“ ჩემი პრეზიდენტობის წლებში გაცილებით მეტი საერთაშორისო ჯილდო მოვიპოვეთ, ვიდრე რომელიმე სხვა გუნდმა.“ — დაასკვნა ბერლუსკონიმ.

**პაპუნა ძედია**

# იუვეს დახლზე საქონელი შემორჩენილა

**იტალიიდან მოსული ცნობების თანახმად „ფიორენტინამ“ „იუვენტუსს“ მისი ნახევარმცველის, მანუელე ბლაზის შესახებ განუახლა მოლაპარაკებები. მოკლედ, ფლორენციელები საგანგებოდ გააქტიურდნენ**

**საქმე** ის გახლავთ, რომ „იები“ მთელი ზაფხულის განმავლობაში ნახევარმცველის გამალებულ ძიებაში არიან და ეტყობა, ყველაზე მისაღებ, მორგებულ ვარიანტად „ბებერი ქალბატონისთვის“ ბლაზის გამოთხოვნა მიიჩნიეს. კაცმა რომ თქვას, ბოლო პერიოდია ბლაზის ამ შესაძლო ტრანსფერის შესახებ საუბრობენ კიდეც ცალკეულ საინფორმაციო საშუალებებში. ჭორების თანახმად ტოსკანელებმა ტურინელებს სატრანსფერო თანხა თავიდნ 5 მილიონი დოლარის ფარგლებში შესთავაზეს, მაგრამ ვინაიდან ბლაზის პატრონებმა იცოტავეს, ახლა უკვე 6,5 მილიონზე აქვთ საუბარი.

ამბობენ იმასაც, რომ ტურინელებს თეორიულად, ბლაზის სანაცვლოდ კიდევ უფრო მეტის, სადღაც 8-9 მილიონის მიღება სურდათ, მაგრამ იტალიაში სეზონის დაწყებამდე ანუ სატრანფერო ფანჯრის მიკეტვამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და არ არის გამორიცხული ცოტ-ცოტას დათმობა ორივე მოვაჭრე მხარეს დაჭირდეს.

რატომ გაახსენდა „ფიორენტინას“ ბლაზი? იმიტომ, რომ „პერუჯას“ აღზრდილი ყმაწვილის თამაში „იების“ ახალ მწვრთნელს, ჩეზარე პრანდელის ეხატება გულზე. ეს ორი ადამიანი კი ერთმანეთს „პარმაში“ შეხვედრია, სადაც ორი სეზონის წინ ერთი ბურთს აგორებდა, ხოლო მეორე მოთამაშეებს წვრთნიდა.

როგორც სატრანსფერო საქმეთა სპეციალისტები ამბობენ, თუ „იუვენტუსი“ ბლაზის გაყიდის, აუცილებლად შეიძენს მის სანაცვლო, ბლაზიზე მეტად სასურველ ნახევარმცველს, კერძოდ, „ინტერის“ კრისტიან ძანეტის.

„იუვენტუსისა“ და ყიდვა-გაყიდვის თემა კიდევ ასე შეგვიძლია განვაგრძოთ: როგორც ამბობენ, „ბებერი ქალბატონი“ ყველა ღონეს იხმარს, რათა თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი იანვრამდე შეინარჩუნოს, როდესაც მის სატრანსფერო თანხას მაქსიმალურად გაზრდის. მოგეხსენებათ, „იუვეს“ თავდამსხმელები არ აკლია და ამიტომ მიკოლის გასხვისებით ბევრსაც არაფერს დაკარგავს, მაგრამ საკითხს მეორე, ფინანსური მხარე აქვს და ტურინში სწორედ აქ წაგება არ უნდათ.


ემანელე ბლაზი


ფაბრიციო მიკოლი

საქმეში ჩახედულმა გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ მიკოლის გაყიდვა აქამდე, შუა ზაფხულში უფრო იყო მოსალოდნელი, მაგრამ როგორც გაირკვა თანხა, რომელსაც „იუვენტუსი“ ითხოვდა მყიდველებს ებევრებოდათ.

ლუჩანო მოჯი, ტურინული კლუბის გენერალური მენეჯერი:

„სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მიკოლი ჩვენთან იანვრამდე დარჩება და მეტიც, არა მხოლოდ დარჩება, არამედ ითამაშებს კიდეც. ჩვენ არსად არ გვეჩქარება. როდესაც გამოჩნდება რომელიმე კლუბი, რომელსაც თავდამსხმელი დასჭირდება, ის დაგვიკავშირდება და ორმხრივ მისაღებ თანხაზე გავურიგდებით.“

ახლა კი გავიხსენოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც ფაბრიციო მიკოლის „იუვენტუსში“ დარჩენის შემთხვევაში გაუწევენ კონკურენციას: ალესანდრო დელ პიერო, ადრიან მუტუ, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, დავიდ ტრეზეგე და მარსელო ზალაიეტა.

მიკოლის სახელს კი უკავშირებდნენ „რომას“, „ინტერს“ „პალერმოს“, ინგლისურ „ასტონ ვილასა“ და პორტუგალიურ „ბენფიკას“.

**ბაპუნა ძიძია**

# მასიმო მორატი უკვე ბედნიერია

**მასიმო მორატის,** როგორც იქნა, გაუმართლა. კაცი ათ წელიწადზე მეტია, „ინტერის“ პრეზიდენტი გახლავთ, და აქამდე ერთადერთი ღირებული ჯილდო ჰქონდა მოგებული — უეფას თასი. ახლა კი ერთბაშად ორ თასს შეწვდა — იტალიისას ქვეყნის სუპერთასიც მიაყოლა. მოგეხსენებათ, ამ ჯილდოსთვის ბრძოლაში „ინტერმა“ შაბათს „იუვენტუსს“ დამატებით დროში სძლია.

ნამატჩევს გახარებულმა პატრონმა პირველ რიგში რობერტო მანჩინი აქო და ადიდა, ის რომ არა, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი მოგვიწევდა ტიტულების ლოდინიო.

რობერტო მანჩინი ერთი წელია, რაც მილანური კლუბის მწვრთნელია.

მორატიმ კი თქვა: „მანჩინიმ ზუსტად მიაგნო ჩვენი გუნდის სტილს. მან ახალი ფეხბურთელებიც საუკეთესოდ მოარგო „ინტერს“. მთავარი კი ის არის, რომ დღეს უფრო მეტად გვჯერა ჩვენი შესაძლებლობების, ვიდრე, ვთქვათ, ერთი წლის წინ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთანავე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ერთი წლის წინ მხარი დამიჭირა, როდესაც მანჩინის მწვრთნელად დანიშვნა გადავწყვიტე.“


მასიმო მორატი რობერტო მანჩინის მუშაობით კმაყოფილია

მოკლედ, „ინტერი“ გამარჯვებაზეა დაგეშილი, მთელ ამ ამბავში კურიოზული კი ის გახლავთ, რომ გუნდმა მოგება მას მერე დაიწყო, რაც კრისტიან ვიერი გაუშვა.

**კოტე ძიძელია**

## იტალია

**თასი. III ეტაპი**

ჩეზენა — ფიორენტინა 0:1. ჩიტადელა — ლივორნო 3:2; ემპოლი — პარმა 1:1 (6:7პ); სიენა — ატალანტა 0:4; მანფრედონია — კალიარი 2:2 (2:4პ); ნაპოლი — პიაჩენცა 1:0; პავია — ბარი 0:0 (1:3პ)

## ხორვატია

**NHL. V ტური**

ციბალია — სლავენი 1:0; მედიმურიე — ზაგრები 0:0; პულა — ჰაიდუკი 2:0; კამენი — ოსიეკი 2:0; რიეკა — ინტერი 0:0; დინამო — ვარტექსი 1:0

## უნგრეთი

**NB1. III ტური**

ტატაბანია — კაპოშვარი 1:0; რიკი — უიპეშტი 2:3; დებრეცენი — მტკ 2:2; სოპრონი — ზალაიდერსეგენი 0:1; პეჩი — გიორი 0:1; ფერენცვაროში — ლომბარდ-პაპა 3:3; ვიდეოტონი — ჰონვედი 3:0; ვაშაში — დიოშგირი 2:0

## ისლანდია

**პრემიერდივიზიონი XV ტური**

კეფლავიკი — აკრანესი 0:1; ჰაფნარფიორდური — ვალური 2:0; ვესტმანაიაერი — ტროტური 2:0; რეიკიავიკი — გრუნდავიკი 3:1

## აშშ

**მეიჯორლიგა. XXIV ტური**

კანზასი — ჩიკაგო 3:0; ნიუ იორკი — ჩივასი 3:3; კოლუმბუსი — დალასი 1:0; ვაშინგტონი — ლოს ანჯელესი 2:3; სოლტ ლეიკი — სან ხოსე 0:1

## მექსიკა

**აპერტურა. IV ტური**

ტოლუკა — კრუს ასული 2:1; ხაგუარესი — ვერაკრუსი 2:2; ატლანტე — ნეკაქსა 2:1; ტიგრესი — ჩივესი 1:1; მორელია — ამერიკა 1:2; დორადოსი — სანტოს ლაგუნა 0:3; ატლასი — პაჩუკა 3:2; პუმასი — სან ლუისი 0:0; ტეკოსი — მონტერეი 2:1

## სლოვაკეთი

**პირველი ლიგა. VI ტური**

პეტრჟალკა — რუზომბეროკი 2:1; დუბნიცა — ტრნავა 0:3; ნიტრა — ინტერი 2:0; პუხოვი — ტრენჩინი 2:1; ჟილინა — ბ. ბისტრიცა 2:0

## სლოვენია

**სიმობილ ლიგა. V ტური**

კოპერი — გორიცა 2:0; დომჟალე — ბელა კრაინა 4:0; პუბლიკუმი — დრავა 2:0; მარიბორი — ნაფტა 1:0, პრიმორიე — რუდარი 0:0

## უკრაინა

**I დივიზიონი**

**VI ტური**

მეტალისტი — შახტარი 1:5; სტალი — ხარკოვი 0:0; მეტალურგი ზ — ტავრია 2:0; არსენალი — კრივბასი 1:1; ზაკარპატია — დნიპრო 1:2; ილიჩევეცი — ვოლინი 1:1; მეტალურგი დ — ჩორნომორეცი 3:2; ვორსკლა — დინამო 0:4

## იაპონია

**ჯეილიგა**

**XIX ტური**

კობი — ნაგოია 1:0; ურავა — ტოკიო 2:1; კაშიმა — ჰიროშიმა 1:2; კავასაკი — ოიტა 2:1; ჯუბილო — იოკოჰამა 3:1; ოსაკა — შიმიცუ 1:1; niigata — გამბა ოსაკა 4:2; ტოკიო ვერდი — ომია 1:1; კაშივა — ჯეფ იუნაიტედი 1:2

## ბრაზილია

**სერია A**

**XXI ტური**

ატლეტიკო მნ — ჟუვენტუდე 2:1; ატლეტიკო პრ — სან პაულო 4:2; სან კაეტანო — კრუზეირო 0:1; პარანა — ვასკო 0:0; კორინთიანსი — გოიასი 1:1; ბრაზილიენსე — პონტე პრეტა 4:0; ფლუმინენსე — პალმეირასი 2:2; ინტერნასიონალი — კურიტიბა 3:2; სანტოსი — ფიგეირენსე 4:3; ფორტალესა — ბოტაფოგო 3:1; ფლამენგო — პაისანდუ 2:1

# სოლიდური მანჩესტერი და იღბლიანი ჩელსი




დიდიე დროგბას გოლის გატანა თავადაც გაუკვირდა

**„ჩელსი“** მაინცდამაინც კარგად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ნამდვილი ჩემპიონისა და კლასის დამადასტურებელი სწორედ ის გახლავთ, რომ მოიგო მაშინ, როდესაც თამაში არ მიგდის და საუკეთესო ფორმაში არ ხარ“ — თქვა „არსენალთან“ მატჩის შემდეგ „ჩელსის“ მავანმა გახარებულმა ქომაგმა.

შეგახსენებთ, ინგლისელი გულშემატკივრები იმასაც ამბობენ, „ჩელსი“ ახალი „მანჩესტერია“, ახლა სულ ჟოზე მაურინიუს გუნდს უმართლებსო. ამ ყველაფერში სიმართლის მარცვალი მართლაც არის. აგერ, პრემიერლიგის ორი ტური მიილია და „ჩელსიმ“ ორივე შეხვედრა დიდი გაჭირვებით, იღბლის დახმარებით მოიგო, მაგრამ მოიგო...

„სტემფორდ ბრიჯის“ ბინადრებს „არსენალისთვის“ პრემიერლიგაში 1995 წლის სექტემბრის მერე არ მოეგოთ და ნავსის გატეხვა დიდიე დროგბას თითქოსდა შემთხვევითი გოლის წყალობით შეძლეს. მოგეხსენებათ, კოტ დივუარელ ფორვარდს ბურთის შეჩერება უნდოდა, მაგრამ მუხლზე მოხვდა და იენს ლემანის კარში აღმოჩნდა.

შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ჟოზე მაურინიუმ არსენ ვენგერს ტაქტიკური დუელი მოუგო. პორტუგალიელ სპეციალისტს რთული ვითარებიდან გამოსვლა რომ შეუძლია, უკვე მრავალჯერ დაგვარწმუნა. თუნდაც პრემიერლიგის პირველი ტური გავიხსენოთ, როდესაც მისმა შეცვლებმა, რა თქმა უნდა, იღბალთან ერთად გუნდს გამარჯვება მოუტანა. ამჯერადაც ასე იყო, „უიგანთან“ მატჩის გმირი ერნან კრესპო დროგბათი შეცვალა და...

არსენ ვენგერისთვის „ჩელსისთან“ მატჩი მეხუთასე იყო „არსენალის“ თავკაცის რანგში, მაგრამ ფრანგ სპეციალისტს საიუბილეო თარიღის სათანადოდ აღნიშვნა არ გამოუვიდა.

„ასეთ თამაშებში ერთი, პირველი შეცდომა ყველაფერს წყვეტს. სამწუხაროდ, იგი ჩვენ დავუშვით. გუნდებს შორის კლასში განსხვავებას ვერ ვხედავ. უბრალოდ, ჩვენ საკუთარი თავის უფრო მეტად უნდა ვირწმუნოთ. შექმნილი მომენტების გამოყენებაა საჭირო და მეტოქე ისეთ პოზიციაში არ უნდა ჩააყენო, სადაც შეიძლება გაუმართლოს და სულელური გოლი გაგიტანოს“ — განაცხადა გულდაწყვეტილმა ვენგერმა.

ჟოზე მაურინიუმ კი მატჩზე მეტად არიენ რობენზე ილაპარაკა. ჰოლანდიელ ნახევარმცველს არ მოსწონს, რომ ბოლო დროს მწვრთნელად მას ხშირად ცვლის. არადა, მაურინიუ რობენის თამაშით მართლაც უკმაყოფილო ჩანს. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ დაახლოებით იგივე პრეტენზია რიკარდო კარვალიუმ გამოთქვა და ამაზე პრესასთან საჯაროდ ისაუბრა. ახლა კი მას რობენმაც მიჰბაძა, რითაც პორტუგალიელი სპეციალისტი ერთიორად გააღიზიანა.

„რობენისა და კარვალიოს სიტუაციები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება. მესმის, რომ არიენს სულ ძირითადში თამაში უნდა, თან შეუცვლელად, მაგრამ ოთხშაბათს „ვესტ ბრომვიჩთან“ ის სათადარიგო იქნება. იმედია, ორივე მათგანი მიხვდება ყველაფერს და კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ. გუნდის გარშემო ატეხილი უაზრო მითქმა-მოთქმა კარგს არაფერს მოგვიტანს. რაც შეეხება მატჩს, მნიშვნელოვან მეტოქეს მოვუგეთ, რაც ფსიქოლოგიურად გაგვამხნევებს. ისე კი, ეს მორიგი თამაში და სამი ქულა იყო, განსაკუთრებული არაფერი. მთავარი ბრძოლა წინ არის“ — აღნიშნა მაურინიუმ.

ამასობაში ყველაზე მშვიდად და სოლიდურად „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩანს. პირველი ორი ტურის მერე ერთ-ერთი მთავარი, რაც კაცს თვალში მოგხვდება, „წითელი ეშმაკების“ საიმედო თამაშია დაცვაში. ჯერჯერობით მოლოდინს ამართლებს ედვინ ვან დერ სარიც.

ალექს ფერგიუსონის გუნდი ძლიერი შეტევით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ გასულ სეზონში „მანჩესტერს“ თავდასხმაში თითქოს ფანტაზია აკლდა. ახლა ამის შეგრძნება აღარ არის. გუნდი ერთიორად გაახალისა კორეელმა ჯი სუნ პარკმა. ჩვეულ ფორმას იბრუნებს რუუდ ვან ნისტელროი, ხოლო უეინ რუნი ტრადიციულად აქტიური და დაუღალავია.

მანჩესტერელთა იერიშებს დამატებით ეშხს სძენს გარემარბების — ჯონ ოშისა და მიკაელ სილვესტრის შეტევებში სახიფათოდ ჩარევა. ცხადია, ჩვეულად ირჯებიან როი კინი და პოლ სქოულზიც. აი, კრისტიანო რონალდო კი ჯერჯერობით სათანადო ფორმაში ვერ არის, მაგრამ შიგადაშიგ მაინც ახერხებს ჩვეული მწვავე პასების გაკეთებას.

პირველ ადგილზე მყოფ „ტოტენჰემზე“ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „მამლებს“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დებიუტი აქვთ, თუმცა მათი თამაში მაინც ქაოსურია.

მთავარი მოულოდნელობა ამ ეტაპზე კიდევ ერთი ლონდონური კლუბი „ჩარლტონია“. ალან კერბიშლის გუნდი ძალიან კარგად თამაშობს და პრესისგან თუ ქომაგებისგან შესაბამისი გამოხმაურებაც აქვს. დედაქალაქელთა ახალგაზრდა ფორვარდი დარენ ბენტი კი გაცემულ ავანსებს უდავოდ ამართლებს. მისი სახით „ჩარლტონს“ ალბათ მთელი სეზონის მანძილზე სერიოზული დამრტყმელი ძალა ეყოლება.

ორი სიტყვა „ლივერპულზეც“ ვთქვათ. რაფაელ ბენიტესის შეგირდებს დაცვაში არანაირი პრობლემები არ აქვთ. პრინციპში არც თავდასხმაში უჭირთ რამე, მაგრამ მერსისაიდელებს შექმნილი მომენტების გამოყენება უჭირთ. ვიმედოვნებთ, ნელ-ნელა დაიხვეწება. ესპანელი სპეციალისტის მთავარი ამოცანა ნახევარდაცვისა და თავდასხმის ერთმანეთთან სათანადოდ შეკავშირებაა.

რაც შეეხება ახალბედებს, მიუხედავად ორი წაგებისა, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „უიგანი“, თუმცა პოლ ჯიუელს უდავოდ ბევრი ექნება სამუშაო. ჯერჯერობით ძალიან კარგად გამოიყურება „ვესტ ჰემიც“, ხოლო „სანდერლენდს“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ალბათ ძალიან გაუჭირდება.

პრემიერლიგა კი ისევ გოლების სიხალვათით გვაკვირვებს. ამჯერად ტურში მხოლოდ 16 ბურთი გავიდა, მაგრამ ჟოზე მაურინიოს თქმისა არ იყოს, ჯერ ყველაფერი წინაა.

**გიორგი ძაძამიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანრი — ერთგული მეთოფე

**ლონდონის** „არსენალის“ ფრანგი ხელმწიფე ტიერი ანრი „მეთოფეთა“ მიტოვებას არ აპირებს და თანახმაა, თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტი განაახლოს. ინგლისური მედიის ცნობით, „ჰაიბერის“ ვარსკვლავი თითქოს სხვა გუნდში გადასასვლელად იყო განწყობილი, თუმც „ფრანს ფუტბოლთან“ გუშინ მიცემულ ინტერვიუში ანრი ლონდონელებისადმი ერთგულებაზე საუბრობს.

„გაზეთებში დაწერეს, თითქოს მე „არსენალს“ ულტიმატუმი წავუყენე, რომ თუ ამ სეზონში ჯილდოებს ვერ მოიგებდა კლუბს დავტოვებდი. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მე ახლა ჩემი გუნდის წარმომადგენლებთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვაწარმოებ მოლაპარაკებას“ — აღნიშნა საფრანგეთის ნაკრებისა და „არსენალის“ მოთამაშემ. ანრი 28 წლისაა და ძველი კონტრაქტის თანახმად „მეთოფეებთან“ კიდევ ერთი წლით უწევს თამაში.

„სანამ ლონდონელ ფანებს არ მოვბეზრდები, „ჰაიბერიდან“ ფეხს არ მოვიცვლი“ — განუცხადა ფორვარდმა „ფრანს ფუტბოლს“.

**ლადო ხომერიკი**

# ძაკარდოს ბოლო აკორდი



კრისტიან ძაკარდო

**იტალიაში** სეზონი, მოგეხსენებათ, ჯერ არ დაწყებულა და გუნდებიც ამხანაგური მატჩებით იქცევენ თავს, თანაც შემადგენლობების გაძლიერებაზე ზრუნავენ. ქვემოთ „პალერმოზე“ გვექნება საუბარი, რომელიც თავის ფეხბურთელებთან კონტრაქტების განახლებითაა დაკავებული, ბოლო ამხანაგურ მატჩში კი „ბილბაოს“ შეხვდა, 1:1 ეთამაშა და მერე პენალტებით დამარცხდა.

ამ მატჩში სიცილიელებს, კერძოდ კი კრისტიან ძაკარდოს, გოლი არ ჩაუთვალეს, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არის, მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ახალგაზრდა მცველმა, ვისაც ბოლო წუთებამდე „ფიორენტინაში“ გადაბარგებას უქადდნენ, კლუბში დარჩენა ამჯობინა.

„ფიორენტინასთან“ მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდა, „პალერმოში“ კი დამარწმუნეს, რომ ვჭირდები და კონტრაქტს ისეთი პირობებით გამიგრძელებენ, უკმაყოფილო რომ არ დავრჩე — თქვა ფეხბურთელმა, რომელიც ახალგაზრდული „სკუადრა აძურას“ ყოფილი წევრია, ბოლო დროს კი დიდ „აძურაშიც“ დაიმკვიდრა ადგილი.

ნაკრების ხსენებაზე: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რომელიც იტალიამ ირლანდიას 2:1 მოუგო, იტალიელებმა გოლი სწორედ ძაკარდოს შეცდომით გაუშვეს, მაგრამ მარჩელო ლიპი ამის გამო პალერმოელის მოძულებას არ აპირებს.

სხვა პალერმოული ამბავი კი ფრანკო ბრინცას დარჩენაა. შემტევმა ნახევარმცველმა, რომელმაც წინა სეზონში 10 გოლი გაიტანა, კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე გააგრძელა.

**კოტე კეკელია**

# სამხრეთელი სამშაბათი

ლადო ხოშარიანი

## არგენტინა

### აპერტურა. III ტური

**ხუნიორსი 2:1 ესტუდიანტესი**

1:0 კარარიო (70), 2:0 პისკულიჩი (78), 2:1 ორტისი (85)

**ხიმნასია ლა პლატა 0:6 ველესი**

0:1 გრასიანი (17), 0:2 ბრავო (29), 0:3 სომოსა (42), 0:4 ენრია (46), 0:5 გრასიანი (61), 0:6 ენრია (72)

გაძევება: ტროლიო (31, ხიმნასიას მწვრთნელი)

**ტირო ფედერალი 0:1 ბანფილდი**

0:1 ლუქამბიო (30პ)

**რასინგი 3:1 არსენალი**

1:0 სიმეონე (32), 2:0 მიროშევიჩი (36), 2:1 ბირსიგი (39), 3:1 კაპრია (68)

**კილმესი 4:2 კოლონი**

1:0 ალესანდრია (4), 1:1 რამირესი (20), 2:1 კანეო (31პ), 3:1 ჩოი (39), 4:1 რისო (56), 4:2 ფაბიანესი (67)

გაძევება: ბარსოლა (66, კილმესი)

**როსარიო 3:2 ხიმნასია ხ**

1:0, 2:0, 3:0 ე. ვილია (33, 34, 71), 3:1 დევალისი (82), 3:2 კინტეროსი (90)

**რივერ პლეიტი 2:1 ნიუელზი**

1:0 ბარადო (22), 1:1 ორტეგა (45), 2:1 სანტანა (84)

**სან ლორენსო 1:1 ინდეპენდიენტე**

0:1 ფრუტოსი (14), 1:1 მონტილიო (72)

გაძევება: ფერნანდესი, ალფარო, გონსალესი (44, 51, 60 სან ლორენსო)

**ლანუსი 1:1 ბოკა ხუნიორსი**

0:1 ბილოში (35), 1:1 მანისერო (87)

გაძევება: ფაბიანი (83, ლანუსი), ბილოში (83, ბოკა)

**ინსტიტუტო 0:0 ოლიმპო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| რასინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რივერ პლეიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| სან ლორენსო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| არგ. ხუნიორსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| კილმესი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| როსარიო | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ბანფილდი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ოლდ ბოისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ხიმნასია ლა პლატა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:7 | 4 |
| ველეს სარსფილდი | 3 | 1 | 0 | 2 | 8:4 | 3 |
| ოლიმპო | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ლანუსი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ინსტიტუტო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ხიმნასია დე ხუხუი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ესტუდიანტესი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ტირო ფედერალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |
| კოლონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |



დიეგო არიელ მანისერო „ბოკას" კარში გატანილ გოლს ხარობს

# მე მიყვარს ბოკას რბევაო

**მას დიეგო** არიელ მანისერო ჰქვია, 20 წლისაა და წარმოშობით კორდობიდან გახლავთ. თითქოს ეს სახელი არაფერს უნდა გვეუბნებოდეს, მაგრამ არგენტინაში ამ ახალგაზრდა გაუჩოს 21 აგვისტოს მერე საბოლოოდ შეარქვეს „ელ ვერდუგო დე ბოკა ხუნიორს", რაც ჩვენებურად „ბოკა ხუნიორსის ჯალათს" ნიშნავს. „ლანუსის" დიეგომ „ლა ფორტალესას" სარბიელზე მოსაგებად შევარდნილ პატაგონიურ გრანდს თამაშის მიწურულს ლაზათიანი გოლი შეუგდო და ანგარიში გაუთანაბრა — 1:1. შედეგად სტუმრებმა ქულები დაკარგეს და არგენტინული აპერტურას ცხრილშიც არა აღფიო ბაზილეს „ბოკა", არამედ „ინდეპენდიენტე" და „რასინგი" ლიდერობენ.

„უმაღლეს დივიზიონში ჩემი პირველი გოლი გავიტანე და, რა თქმა უნდა, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ორმაგ სიხარულს კი ის მანიჭებს, რომ „რივერ პლეიტის" ინჩასი ვარ და ანგარიშის ამ მწარე გათანაბრებით „ბოკა ხუნიორსის" გაჯავრება შევძელი" — ყმაწვილური კადნიერებით მოახსენა მანისერომ მატჩის შემდეგ „კლარინის" კორესპონდენტს.

გაცილებით თავშეკავებული აღმოჩნდა სხვა ლანუსელი, ფიორეტო.

„ფრე პრაქტიკულად ქვეყნის ნაკრებს ვეთამაშეთ. „ბოკას" ახლა დიდებული შემადგენლობა ჰყავს" — თქვა მასპინძელთა მცველმა.

ზემოხსენებული „ინდეპენდიენტე" კი აპერტურას მესამე ტურში „სან ლორენსოს" შეერკინა გასვლაზე და მატჩის 72-ე წუთზე ვალტერ მონტილიოს ძლიერად მოქნეული ცაცია რომ არა, სტუმრები პრინციპულ ჯახს მოგებით დაამთავრებდნენ. „ინდეპენდიენტე" მე-14 წუთზე ნიკოლას ფრუტოსმა დააწინაურა, მერე კი სტადიონზე გაჩაღებული ჯოჯოხეთური ჯაჯგურის გამო მსაჯმა „სან ლორენსოს" ხუან ფერნანდესი და ადრიან გონსალესი მინდვრიდან გააგდო. „წესით", ორი მცველის გამოკლების შემდეგ მასპინძლებს თავი უნდა ჩაექინდრათ, მაგრამ მონტილიომ თავისი საქმე ჩინებულად შეასრულა.

მას შემდეგ, რაც „რივერ პლეიტმა" წინა ტურში ხუხუის „ხიმნასიასთან" ულიმღამო 0:0 ითამაშა, მის გაცოფებულ ფანებს ალბათ წესიერად არც უძინიათ. კვირას ლეონარდო ასტრადას ბიჭები ველესის არენაზე („მონუმენტალი" ლიბერტადორესის თასზე მომხდარი მუშტი-კრივის გამო დისკვალიფიცირებული გახლავთ) „ნიუელსს" მიუხდნენ და დიეგო ბარადოსა და ხონათან სანტანას გოლებით დაამარცხეს. საპასუხო ბურთი არიელ ორტეგამ, „მილიონერთა" ძველმა გმირმა გაიტანა. ინჩასებმა ცოტათი ამოისუნთქეს, ლეონარდო ასტრადამ კი მატჩის მერე მაინც უკმაყოფილოდ დაიჩივლა — ეს ის დონე ჯერ კიდევ არ არის, რასაც ჩემი ფეხბურთელებიდან ველოდებიო...

„კილმესის" გაუჩოებმა „კოლონას" შინ 4:2 მიართვეს და ძალინაც გაიხარეს — კარლოს აიმარის გუნდს 106 დღე გამარჯვება არ ენახა...

„ვაღიარებ, რომ თამაშის დასაწყისში დაბნეული ინდაურივით ვიყავი, თუმცა თანაგუნდელთა კარგი ბურთაობის შემხედვარე გონს მალე მოვედი" — მოინანია ჟურნალისტებთან საუბარში კილმესელმა ჩოი გონსალესმა, იქამდე კი ალესანდრიას, კანეოს და რისოსთან ერთად „კოლონის" დამღუპველი 4 გოლი გააფორმა.

„როსარიოს" ჩაუქ ემანუელ ვილიას ხუხუის „ხიმნასია" კარგა ხანს ვერ დაივიწყებს. „მანემ" მოწინააღმდეგეს სამი ბურთი შეუგდო და „ხიმნასიას" დევალისის და კინტეროსის გოლების მიუხედავად, ლაღი გამარჯვება იზეიმა. ეს ვილიას კარიერაში რიგით მესამე ჰეთ თრიქი გახლავთ.

რაღაც ფრიად მჟავე გამოვიდა პატაგონიური „ესტუდიანტესის" საპატიო ასი წლისთავი. „სტუდენტები" ზედიზედ მეშვიდე მატჩს ვერ იგებენ, ხოლო აქედან მათი ახალდანიშნული დამრიგებლის, ხორხე ბურუჩაგას სინდისზე მიჯრით წაგებული სამი თამაშია.

პარასკევს ხორხეს ბიჭები „დიეგო მარადონაზე" „არხენტინოს ხუნიორსმა" შესანიშნავი ლეონარდო პისკულიჩის წყალობით 2:1 დაამარცხა. ასი წლის სტუდენტებმა ასე თუ გააგრძელეს სენიორ ბურუჩაგას ვინძლო უკვე მომდევნო ტურის მერე გააბუნძულებენ...

პედრო ტროლიოს „ხიმნასა ლა პლატამ" თავისივე სტადიონზე დალია სული — „ველეს სარფილდმა" მასპინძელ გუნდს 0:6 (!) მოუგო. აღსანიშნავია, რომ „ველესი" მეხდაცემულ „ლა პლატაზე" რაღაც ბოროტადაა გადაკიდებული. ადრე, შორეულ 1958-ში სტუმრებს ხიმნასია 0:5 დაუმარცხებიათ. საკუთარი გუნდის გაბდღვნილი უკანახაზელის შემხედვარე მწვრთნელ ტროლიოს პირველივე ტაიმში უმტყუნა ნერვებმა, მსაჯს აგინა, რის შედეგადაც მოედნიდან გააბრძანეს.

# პელე... უკაცრავად, ვინ?

**ფეხბურთის** დიდ მეფეს, ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს ვერ მოუვიდა მთლად გასახარი ამბავი. შაბათს კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა, მისმა უწმინდესობამ პაპმა ბენედიქტ XVI-მ კიოლნში რამდენიმე ცნობილი პიროვნება მიიღო, მათ შორის ლეგენდარული პელეც.

„თქვენო უწმინდესობავ, მსოფლიოს ყველა ფეხბურთელის წარმომადგენელი გახლავართ" — განუცხადა პაპს ლეგენდა კაცმა და მოწიწებით ხელზე ემთხვია.

„აჰა, რა თქმა უნდა, თქვენ ბრაზილიელი იქნებით" — უპასუხა კათოლიკეთა საჭეთმპყრობელმა და დაბნეულ დუ ნასიმენტუს ხალისიანად შეაცქერდა. დიდი გამოცნობა არ სჭირდება იმას, რომ ფეხბურთში ნაკლებად ჩახედული ბენედიქტ XVI-ის ფრაზა კაი უხერხულ პაუზას გამოიწვევდა...

სიტუაციის განმუხტვა იქვე მდგარმა მავანმა კარდინალმა შეძლო... თუმც ვაი, რომ სანახევროდ.

„თქვენო უწმინდესობავ, ეგ კაცი პელეა, ფეხბურთელი — ფრთხილად ჩასჩურჩულა ყურში საეკლესიო პირმა მოხუც პაპს.

„ფეხბურთელი? დიდად სასიამოვნოა. ღმერთი გფარავდეთ" — თქვა ბენედიქტ XVI-მ და ყოვლად განადგურებულ დუ ნასიმენტომაც კურთხევა მიიღო. ერთი სიტყვით, კათოლიკეთა მთავარმა მოძღვარმა პე-



რომის პაპმა პელე ვერ იცნო

ლეს მოედანზე გარჯა, მოგვიტევეთ და, სულ დაბნეულ ქარს გაატანა.

ეს კიდევ არაფერი, ამ არგენტინულ პრესას ხომ ვერაფრით დააღწევ თავს კაცი — „პაპის პირით ღმერთმა თქვა, ფეხბურთის მეფე მარადონაა და არა პელეო" — ეწერა ზოგიერთ პატაგონიურ გაზეთში. ისე კი დიეგო არმანდო რომ მისულიყო აუდიენციაზე, ვითომდა იცნობდა პაპი? თუ მის საფეხბურთო ცოდნას გავითვალისწინებთ, ნაკლებად მოსალოდნელია. აცხონოს უფალმა გარდაცვლილი იოანე პავლე II, რომელიც ერისკაცობაში გოლკიპერი გახლდათ...

# ატლეტიკო ზამთარს და მასკერანოს ელოდება



ხავიერ მასკერანო

**„კორინთიანსის"** არგენტინელი მოთამაშე ხავიერ მასკერანო მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი იქნება, ოღონდ საკითხავია, როდის. ესპანელებმა ბრაზილიური კლუბის მეპატრონე კია ჟურაბჩიანთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მასკერანო სადეკემბროდ დაიბევეს, თუმც რადგან „ატლეტიკოს" პატაგონიელის დღეს-ხვალ მოსვლა ურჩევნია, მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდება.

„მადრიდელთა ყველაზე მთავარი პრობლემა „კორინთიანსსა" და მასკერანოს შორის ადრე გაფორმებული ხელშეკრულებაა. ამ შეთანხმების თანახმად, ბრაზილიურ გუნდს უფლება აქვს, ხავიერი დეკემბრამდე, ანუ იქაური პირველობის დასრულებამდე დაიტოვოს. „კორინთიანსი" ამჟამად ჩემპიონატის ლიდერია და კლუბის თავკაცებსაც არანაირი სურვილი არა აქვთ. თავიანთ ვარსკვლავს კალდაზე ადრე გამოემშვიდობონ" — ეწერა გუშინდელ „მარკაში".

კია ჟურაბჩიანის საპატრონო გუნდი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში სამჯერ (1990, 98, 99 წლებში) იყო ბრაზილიის ჩემპიონი, თუმცა უკანასკნელი ოქროსმედალოსნობიდან მოყოლებული „კორინთიანსს" ოდენ საამსეზონო **„BRASILEIRAO"**-ში აქვს რაიმე მიღწევის შანსი. ახალშეძენილ არგენტინელებთან, ტევესთან და მასკერანოსთან ერთად, ცხადია, ჟურაბჩინი „ელ ხეფესიტოს (მასკერანო) გასხვისებაზე ნაკლებად იფიქრებს. ამასობაში კი ესპანური პრესა ახალგაზრდა მასკერანოს მადრიდულ სიმპათიებზე წერს — ხავიერს თურმე ერთი სული აქვს, „ვისენტე კალდერონის" თეთრ-ალისფერი ათლეტთა ფორმა მოირგოს. მედიის ცნობით, „ელ ხეფერიტო" ესპანეთში ერთი სეზონით იჯარით იბურთავებს. თუმც როგორ მოახერხებს „ატლეტიკოს" დამრიგებელი კარლოს ბიანკი დეკემბრის თოვლისა და მასკერანოს მოყვანას, ეს ვინძლო მარტო ყოვლისშემძლე კია ჟურაბჩიანმა იცის...

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

## ინგლისი, პრემიერლიგა

### 23 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 1 | სანდერლენდი-სიტი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 22:45 | 2 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 2.40 | 3.30 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 3 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 4 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 22:45 | 5 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 22:45 | 6 | არსენალი-ფულემი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 22:45 | 7 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |

## გერმანია
## რეგიონალლიგა (ჩრდ.)

### 23 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 145 | დიუსელდორფი-ზტ.პაული | 2.75 | 3.30 | 2.15 | 1.50 | 1.20 | 1.30 |
| 21:30 | 146 | ობერჰაუზენი-კიოლნი(მ) | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 147 | ლევერკუზენი(მ)-ვატენშეიდი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |
| 21:30 | 148 | ჰერტა(მ)-ოსნაბრიუკი | 2.60 | 3.30 | 2.25 | 1.45 | 1.20 | 1.33 |
| 21:30 | 149 | მიუნსტერი-კილი | 2.40 | 3.30 | 2.45 | 1.38 | 1.21 | 1.40 |
| 21:30 | 150 | ვუპერტალი-ესენი | 2.95 | 3.40 | 2.00 | 1.57 | 1.19 | 1.25 |

## გერმანია
## რეგიონალლიგა (სამ.)

### 23 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 161 | ელვერსბერგი-ტრირი | 1.95 | 3.40 | 3.10 | 1.23 | 1.19 | 1.62 |

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 162 | ემბორნი-მიუნხენი1860(მ) | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1:51 |
| 21:00 | 163 | კობლენცი-ლაუტერნი(მ) | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 21:00 | 164 | ჰოფენჰაიმი-რეგენსბურგი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 21:00 | 165 | კიკერსი-ვეენი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |

## საფრანგეთი, I დივიზიონი

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 220 | ლილი-ტულუზი | 1.75 | 3.10 | 5.00 | 1.11 | 1.29 | 1.91 |

## ნორვეგია. I დივიზიონი

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 384 | სკეიდი-ტონსბერგი | 2.35 | 3.90 | 2.40 | 1.46 | 1.18 | 1.48 |
| 20:00 | 385 | ჰონეფოსი-სტრომსგოდსეტი | 1.75 | 3.80 | 3.60 | 1.19 | 1.17 | 1.84 |
| 20:00 | 386 | სტაბეკი-მოსი | 1.40 | 4.20 | 6.00 | 1.04 | 1.13 | 2.47 |

## ჩემპიონთა ლიგა

### 23 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:00 | 509 | პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 22:15 | 510 | თუნი-მალმიო | 1.75 | 3.50 | 4.10 | 1.16 | 1.22 | 1.88 |
| 22:45 | 511 | უდინეზე-სპორტინგი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 22:45 | 512 | მონაკო-ბეტისი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:45 | 513 | რუსენბორგი-სტიაუა | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 22:45 | 514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 23:05 | 515 | ლივერპული-ცსკა(ბულ) | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 22:30 | 517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 22:30 | 518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 22:00 | 519 | სლავია-ანდერლეხტი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 22:45 | 520 | რეინჯერსი-ანორთოსისი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 22:45 | 521 | ვერდერი-ბაზელი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 23:00 | 522 | ინტერი-შახტარი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 23:45 | 523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |

## ინგლისი, თასი

### 23 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 556 | სკანთორპი-ტრანმერი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 22:45 | 557 | შრიუსბერი-ბრაიტონი | 2.90 | 3.40 | 2.05 | 1.56 | 1.20 | 1.27 |
| 22:45 | 558 | უოტფორდი-ნოტსი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 22:45 | 559 | ვულვერჰემპტონი-ჩესტერი | 1.25 | 4.70 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.02 |
| 22:45 | 560 | რექსემი-დონკასტერი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 22:45 | 561 | როტერჰემი-პორტ ვეილი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 22:45 | 562 | როჩდეილი-ბრედფორდი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| 22:45 | 563 | პრესტონი-ბარნსლი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 564 | პლიმუთი-პიტერბრო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 565 | ნორთჰემპტონი-ქპრ | 3.10 | 3.40 | 1.95 | 1.62 | 1.19 | 1.23 |
| 22:45 | 566 | ნოტინგენი-მაკლსფილდი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:45 | 567 | ლიდსი-ოლდემი | 1.50 | 3.60 | 5.60 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 22:45 | 568 | ჰარტლპული-დარლინგტონი | 1.70 | 3.40 | 4.10 | 1.13 | 1.20 | 1.85 |
| 22:45 | 569 | ლეიტონი-ლუტონი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 22:45 | 570 | ლინკოლნი-ქრიუ | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 22:45 | 571 | სტოკპორტი-უენსდი | 3.20 | 3.40 | 2.00 | 1.64 | 1.23 | 1.25 |
| 22:45 | 572 | სუინდონი-უიკომბი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:45 | 573 | შეფილდი-ბოსტონი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 22:45 | 574 | ჯილინგემი-ოქსფორდი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:45 | 575 | ჩელტენემი-ბრენტფორდი | 2.90 | 3.40 | 2.05 | 1.56 | 1.20 | 1.27 |
| 22:45 | 576 | ბლეკპული-ჰალი | 2.90 | 3.40 | 2.05 | 1.56 | 1.20 | 1.27 |
| 22:45 | 577 | ბრისტოლი-ბარნეტი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 22:45 | 578 | ბერი-ლესტერი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 22:45 | 579 | ბარნლი-კარლაილი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 22:45 | 580 | დონსი-ნორვიჩი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 23:00 | 581 | კრისტალ პალასი-უოლსოლი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:00 | 582 | რედინგი-სუონსი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 22:45 | 587 | მენსფილდი-სტოკი | 3.10 | 3.40 | 2.00 | 1.62 | 1.21 | 1.25 |
| 22:45 | 588 | მილუოლი-როვერსი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |
| 22:45 | 610 | იფსვიჩი-იოვილი | 1.40 | 3.8Q | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

### 24 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 583 | ჩესტერფილდი-ჰადერსფილდი | 2.55 | 3.50 | 2.25 | 1.47 | 1.19 | 1.36 |
| 22:45 | 584 | კოლჩესტერი-კარდიფი | 2.75 | 3.30 | 2.15 | 1.50 | 1.20 | 1.30 |
| 22:45 | 585 | რამდენი-ქოვენთრი | 4.10 | 3.40 | 1.70 | 1.85 | 1.20 | 1.13 |
| 22:45 | 586 | ტორკი-ბორნმუთი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 589 | დერბი-გრიმსბი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |

## შოტლანდია. თასი

### 23 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 590 | აბერდინი-ბერიკი | 1.10 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.28 |
| 22:30 | 591 | ფოლკირკი-პარტიკი | 1.35 | 4.50 | 6.00 | 1.03 | 1.10 | 2.57 |
| 22:45 | 593 | კილმარნოკი-სტირლინგი | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 22:45 | 594 | მოზერუელი-ჰამილტონი | 1.30 | 4.50 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.65 |
| 22:45 | 595 | ქუინზ პარკი-ჰართსი | 12.00 | 6.00 | 1.15 | 4.00 | 1.04 | 1.00 |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 596 | რეითი-ლივინგსტონი | 4.30 | 3.60 | 1.60 | 1.95 | 1.16 | 1.10 |
| 22:45 | 597 | როსი-ეარი | 1.60 | 3.70 | 4.30 | 1.11 | 1.16 | 1.98 |
| 22:45 | 598 | სტ.ჯონსტონი-სტ.მირენი | 1.90 | 3.50 | 3.20 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 22:45 | 599 | სტრანრარი-დანდი | 3.10 | 3.30 | 2.00 | 1.59 | 1.21 | 1.24 |
| 22:45 | 600 | პიტერპედი-კლაიდი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| 22:45 | 601 | გრეტნა-დანფერმლაინი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 592 | ინვერნესი-ალოა | 1.20 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.41 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 611 | ჰაკა-კტპ | 1.40 | 4.00 | 7.00 | [illegible] | [illegible] | 2.54 |
| 20:00 | 612 | ჰიკ-ტამპერე | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 607 | ლანსი-კლუჟი | 1.35 | 4.00 | 6.90 | 1.00 | 1.12 | 2.53 |
| 23:00 | 608 | მარსელი-დეპორტივო | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 23:45 | 609 | ვალენსია-ჰამბურგი | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |


**ფრეს გარეშე (ძირ დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | სანდერლენდი-სიტი | 1.80 | 1.70 |
| 16002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.80 |
| 16003 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.60 | 1.90 |
| 16004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1.50 | 2.10 |
| 16006 | არსენალი-ფულემი | 1.03 | 6.20 |
| 16007 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.90 | 1.60 |
| 16508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.15 | 3.70 |
| 16510 | თუნი-მალმიო | 1.30 | 2.80 |
| 16511 | უდინეზე-სპორტინგი | 1.35 | 2.60 |
| 16512 | მონაკო-ბეტისი | 1.40 | 2.55 |
| 16513 | რუსენბორგი-სტიაუა | 1.45 | 2.30 |
| 16514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.10 | 4.00 |
| 16516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.10 | 4.00 |
| 16517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 4.00 | 1.09 |
| 16518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.20 | 3.20 |
| 16519 | სლავია-ანდერლეხტი | 1.50 | 2.20 |
| 16523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.15 | 3.80 |

**გოლი: წყვილი-1 ან კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | სანდერლენდი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | არსენალი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17509 | პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.85 | 1.95 |
| 17510 | თუნი-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17511 | უდინეზე-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17512 | მონაკო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17513 | რუსენბორგი-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.85 | 1.95 |
| 17515 | ლივერპული-ცსკა(ბულ) | 1.85 | 1.95 |
| 17516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17519 | სლავია-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17520 | რეინჯერსი-ანორთოსისი | 1.85 | 1.95 |
| 17521 | ვერდერი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17522 | ინტერი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | სანდერლენდი-სიტი | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |
| 10002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10003 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.60 | 2.10 | 3.40 | 1.16 | 1.47 | 1.29 |
| 10004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10006 | არსენალი-ფულემი | 1.45 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.22 | 1.90 |
| 10007 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3.10 | 2.10 | 2.85 | 1.25 | 1.48 | 1.20 |
| 10508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.90 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.44 | 1.55 |
| 10509 | პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.65 | 2.20 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.72 |
| 10510 | თუნი-მალმიო | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10511 | უდინეზე-სპორტინგი | 2.35 | 2.00 | 4.20 | 1.08 | 1.50 | 1.35 |
| 10512 | მონაკო-ბეტისი | 2.55 | 2.00 | 3.80 | 1.12 | 1.52 | 1.31 |
| 10513 | რუსენბორგი-სტიაუა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | [illegible] | 1.28 |
| 10514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.70 | 2.20 | 7.00 | 1.00 | 1.36 | 1.67 |
| 10515 | ლივერპული-ცსკა(ბულ) | 1.30 | 2.90 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.19 |
| 10516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.70 | 2.10 | 7.30 | 1.00 | 1.37 | 1.63 |
| 10517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 6.00 | 2.40 | 1.70 | 1.71 | 1.32 | 1.00 |
| 10518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.95 | 2.10 | 5.00 | 1.01 | 1.40 | 1.47 |
| 10519 | სლავია-ანდერლეხტი | 2.65 | 2.00 | 3.45 | 1.13 | 1.49 | 1.26 |
| 10520 | რეინჯერსი-ანორთოსისი | 1.40 | 2.60 | 9.00 | 1.00 | 1.21 | 2.01 |
| 10521 | ვერდერი-ბაზელი | 1.60 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.90 |
| 10522 | ინტერი-შახტარი | 1.50 | 2.50 | 8.50 | 1.00 | 1.27 | 1.93 |
| 10523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.80 | 2.20 | 6.30 | 1.00 | 1.39 | 1.63 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15001 სანდერლენდი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 პორტსმუთი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 ბირმინგემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 ბოლტონი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 არსენალი-ფულეჰი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 პარტიზანი-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15510 თუნი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15511 უდინეზე-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15512 მონაკო-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15513 რუსენბორგი-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15514 პანათინაიკოსი-ვისლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15515 ლივერპული-ცსკა(ბულ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15516 აიაქსი-ბრიონდბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15517 დებრეცენი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15518 ბრიუგე-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15519 სლავია-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15520 რეინჯერსი-ანორთოსისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 ვერდერი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15522 ინტერი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15523 ვილიარეალი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 სანდერლენდი-სიტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11002 პორტსმუთი-ასტონ ვილა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11003 ბირმინგემი-მიდლსბრო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11004 ბოლტონი-ნიუკასლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11006 არსენალი-ფულემი | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11007 ბლექბერნი-ტოტენჰემი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11508 ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11509 პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.65 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11510 თუნი-მალმიო | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11511 უდინეზე-სპორტინგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11512 მონაკო-ბეტისი | 2.85 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11513 რუსენბორგი-სტიაუა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11514 პანათინაიკოსი-ვისლა | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11516 აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.80 | 10.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11517 დებრეცენი-მანჩესტერი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11518 ბრიუგე-ვოლერენგა | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11519 სლავია-ანდერლეხტი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11521 ვერდერი-ბაზელი | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11522 ინტერი-შახტარი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11523 ვილიარეალი-ევერტონი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | სანდერლენდი-სიტი | 1.95 | 1.85 |
| 14002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 14003 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.75 | 2.00 |
| 14004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1.70 | 2.10 |
| 14006 | არსენალი-ფულემი | 1.05 | 2.80 |
| 14007 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.95 | 1.85 |
| 14508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.30 | 2.50 |
| 14509 | პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.20 | 2.60 |
| 14510 | თუნი-მალმიო | 1.40 | 2.40 |
| 14511 | უდინეზე-სპორტინგი | 1.55 | 2.30 |
| 14512 | მონაკო-ბეტისი | 1.60 | 2.20 |
| 14513 | რუსენბორგი-სტიაუა | 1.70 | 2.10 |
| 14514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.20 | 2.50 |
| 14515 | ლივერპული-ცსკა(ბულ) | 1.05 | 2.90 |
| 14516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.20 | 2.60 |
| 14517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 2.65 | 1.20 |
| 14518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.30 | 2.50 |
| 14519 | სლავია-ანდერლეხტი | 1.70 | 2.00 |
| 14520 | რეინჯერსი-ანორთოსისი | 1.05 | 2.80 |
| 14521 | ვერდერი-ბაზელი | 1.15 | 2.65 |
| 14522 | ინტერი-შახტარი | 1.15 | 2.70 |
| 14523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.25 | 2.50 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | სანდერლენდი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | არსენალი-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 13007 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.90 | 1.70 |
| 13509 | პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.90 | 1.70 |
| 13510 | თუნი-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 13511 | უდინეზე-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 13512 | მონაკო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13513 | რუსენბორგი-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.70 | 1.90 |
| 13516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.70 | 1.90 |
| 13517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.70 | 1.90 |
| 13519 | სლავია-ანდერლეხტი | 1.70 | 1.90 |
| 13521 | ვერდერი-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 13522 | ინტერი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | სანდერლენდი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12002 | პორტსმუთი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.60 |
| 12006 | არსენალი-ფულემი | 1.90 | 1.70 |
| 12007 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12508 | ლოკომოტივი(მ)-რაპიდი | 1.70 | 1.90 |
| 12509 | პარტიზანი-პეტრჟალკა | 1.70 | 1.90 |
| 12510 | თუნი-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 12511 | უდინეზე-სპორტინგი | 1.70 | 1.90 |
| 12512 | მონაკო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12513 | რუსენბორგი-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 12514 | პანათინაიკოსი-ვისლა | 1.70 | 1.90 |
| 12516 | აიაქსი-ბრიონდბიუ | 1.90 | 1.70 |
| 12517 | დებრეცენი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12518 | ბრიუგე-ვოლერენგა | 1.70 | 1.90 |
| 12519 | სლავია-ანდერლეხტი | 1.70 | 1.90 |
| 12521 | ვერდერი-ბაზელი | 2.00 | 1.60 |
| 12522 | ინტერი-შახტარი | 1.90 | 1.70 |
| 12523 | ვილიარეალი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |

# ცქიტიშვილი ლას ვეგასშია
## ჰერბერტმა ქართველობა ვერ შეკრიბა



**საქართველოს** ნაკრები გამალებით ემზადება ევროსაკვალიფიკაციო მატჩებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე. გორდონ ჰერბერტის გუნდს ზაზა ფაჩულია კი შეუერთდა, მაგრამ ჯერ არ ჩანან შემონდ უილიამსი და ნიკა ცქიტიშვილი.

როგორც საქართველოს ნაკრების თიმლიდერმა მერაბ რატიშვილმა სამი დღის წინ გერმანიიდან გვაცნობა, უილიამსი გუნდს მალე უნდა შეერთებოდა. ჩავიდა თუ არა გაქართველებული ამერიკელი გერმანიაში, ვერ მოგახსენებთ, რაკი რატიშვილს ახალი ცნობის ფურცელი ჯერ არ გამოუგზავნია. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ცქიტიშვილი ჰერბერტის გუნდთან ერთად არ იმყოფება. ნიკა თავის ახალ ნბა-ურ გუნდ „მინესოტასთან" ერთად ლას ვეგასშია თანაგუნდელებისა და ახალი მთავარი მწვრთნელის გასაცნობად.

როგორც ამერიკელი ჟურნალისტები იტყობინებიან, „მინესოტა" ლას ვეგასში მოკლეხნიან კემპში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ მთავარი მაინც გუნდის ახალწვეულების დაახლოება იქნება. ცქიტიშვილთან ერთად „მგლებმა" ამ ზაფხულს კიდევ ორი კალათბურთელი, მარკო იარიჩი და რაშად მაკანტსი შეიმატეს.

„მგლებს" ასევე ახალი დამრიგებელი ჰყავთ — დუეინ კეისი, რომელიც შარშან „სიეტლს" წვრთნიდა. ახალი მწვრთნელი გუნდს მოედანზეც გამოცდის და, როგორც იგეგმება, მინესოტელები ბოულინგის მოედანზეც მოსინჯავენ ძალას.

ერთი სიტყვით, ცქიტიშვილი ჯერ ამერიკაშია და სავარაუდოდ ის ნაკრებს ბრაუნშვაიგის ოთხთა ტურნირის დასაწყისისთვის, 26 აგვისტოს შეუერთდება.

**ირაკლი პერტაია**

# ფინეთმა 11 გამოფინა

**ფინეთის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰენრიხ დეტმანმა ის შემადგენლობა გამოაცხადა, რომლითაც 3 სექტემბერს ქართველებს შეერკინება. რა შეხსენება გინდათ, რომ ეს მატჩი უდიდესი მნიშვნელობისაა — წაგებული A დივიზიონში აღზევების შანსს კარგავს.

განაცხადი არასრულია, რადგან 12-ის ნაცვლად მასში 11 მოთამაშეა. შემადგენლობა გვარიანადაა გადახალისებული. შარშანდელი მატჩიდან, რომელიც ქართველებმა თბილისში 7 ქულით მოიგეს, დეტმანის ახალ სიაში ექვსი მოთამაშეა. ხუთი კალათბურთელი ახალია, რომელთაგანაც ყველაზე მეტად ყურადღების მიქცევა შონ ჰუფს ევების.

როგორც ფინური კალათბურთის ვებგვერდი გვამცნობს, ახალწვეულ ჰუფს ხუთეულში ადგილი გარანტირებული აქვს. ის 21 წლისაა და ფინეთის ჩემპიონატში თამაშის შემდეგ შარშან ამერიკის სტუდენტურ ლიგაში გადავიდა. ჰუფი ვილპარაისოს უნივერსიტეტის მოთამაშეა, მაგრამ ხეირიანი სტატისტიკური მაჩვენებლებით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა.

ფინელთა უდავო ლიდერები, ჰანო მოტოლა და ტეემუ რანიკო, რა თქმა უნდა, განაცხადში არიან. 11-კაციანი სია კი ასე გამოიყურება:



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკი ულანდერი | ცენტრი | 208 | 24 | ლაჰტი |
| ლირო ტენგრენი | ფორვარდი | 204 | 26 | ვორტერსი (ავსტრია) |
| მიკო ნოოპილა | ფორვარდი | 200 | 28 | ბრაუნშვაიგი (გერმანია) |
| იარი ვენტა | ცენტრი | 208 | 19 | ჰონკა |
| სამუელ ჰაანპა | ფორვარდი | 202 | 19 | ვანტა |
| ტუკა კოტი | ფორვარდი | 204 | 24 | ტიჩინო (იტალია) |
| შონ ჰუფი | ფორვარდი | 198 | 22 | ვალპარაისო (აშშ) |
| იური ლეტონენი | ფორვარდი | 193 | 32 | კატაია |
| ჰანო მოტოლა | ფორვარდი | 208 | 29 | დინამო მოსკოვი (რუსეთი) |
| მაურიციო პრატესი | გამთამაშებელი | 190 | 30 | ჰელსინკი |
| ტეემუ რანიკო | გამთამაშებელი | 189 | 25 | სკავოლინი (იტალია) |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯონსი გულმა დაალალატა
## მაკედონიას ფარქვეშა ბურჯი გამოეცალა

**ევროსაკვალიფიკაციო** ტურნირზე ქართველების მთავარმა კონკურენტმა მაკედონიამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ექსიუგოსლავთა ნატურალიზებული ამერიკელი ცენტრი, კენიონ ჯონსი, რომელიც საკვალიფიკაციო ტურნირში ქულებითაც ლიდერობდა და მოხსნებითაც.

ჯონსი საკუთარ სახლში, ატლანტაში გარადიცვალა გულის შეტევით. ის ამერიკაში დასასვენებლად და ახალი გუნდის საძიებლად ჩავიდა. გასულ თვეში მან „დენვერ ნაგიტსის" მაისურით ორი მატჩი ითამაშა კიდეც საზაფხულო ლიგაში, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდის უფროსობას თავი ვერ მოაწონა.

ჯონსი ბოლო წლებში ევროპაში თამაშობდა, ძირითადად ბერძნულ გუნდებში. მისი ბოლო კლუბი „მარუსი" გახლდათ, თუმც უფრო მაღალი შედეგებით ჯონსი სტუდენტურ ლიგაში თამაშისას გამოირჩეოდა. 1999-2000 წლების სეზონში ის გახდა წლის საუკეთესო მოთამაშე, როცა ახალგაზრდულ ლიგაში კალიფორნიის უნივერსიტეტს წინამძღოლობდა.

ჯონსმა დიდებულად ითამაშა გასული წლის სექტემბერში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ, როცა მან თამაშიდან ფაქტობრივად გამოთიშა ზაზა ფაჩულია. მაკედონიელებს დიდად ეიმედებოდათ ჯონსის, მაგრამ ნიჭიერ სპორტსმენს მოულოდნელად გულმა უმტყუნა.

**ირაკლი პერტაია**

ჭიდაობა

# ორი მედალი მსოფლიოს წინ
## ბადრი ხასაია ნაკრებში ჩაეწერა

**საქართველოს** ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები პოლონეთის საერთაშორისო ტურნირიდან ორი მედლით ბრუნდება. სექტემბრის ბოლოს ბუდაპეშტში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად მონათლულ შეჯიბრებაზე ბადრი ხასაიამ ვერცხლი მოიპოვა, რამაზ ნოზაძემ კი — ბრინჯაო.

ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიასთვის ამ ეტაპზე შედეგს დიდი მნიშვნელობა რომ არ ჰქონდა, ჯერ კიდევ პოლონეთში გამგზავრებამდე თავად გვითხრა. მთავარი ბიჭებისთვის სატურნირო გამოცდილების მიღება იყო. სასურველ ფორმას კი ორ ბორჯომულ შეკრებაზე მიაღწევენ.

ადრევე იყო ცნობილი ისიც, რომ ამ ტურნირზე შერჩეული შემადგენლობა იჭიდავებს მსოფლიოსაც. ერთადერთი წონა, სადაც დარჩიას გადაწყვეტილება ჯერ არ მიეღო 84 კილოგრამი იყო. ამიტომ პოლონეთში სამი კანდიდატი იახლა და ალბათ უკვე საჭოჭმანოც აღარა აქვს. მუხრან ვახტანგაძისა და თედო კუპატაძის ჭიდაობის შესახებ ტურნირის მიმომხილველი ვებგვერდი არაფერს იუწყება. მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ათეულშიც ვერ მოხვდნენ, ხოლო ხასაიამ ფინალს უწია და იქ უკრაინელ ალექსანდრ დარაგანთან წააგო.

ათეულს მიღმა დარჩნენ მუხრან მაჭუტაძე (66 კგ) და მანუჩარ კვირკველიაც (74 კგ). მირიან გიორგაძემ (120 კგ) და ირაკლი ჭოჭუამ (60 კგ) კი მერვე-მეცხრე ადგილები დაიკავეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები ევროპის კონფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაციით რომ დასაჯა, ადრე გაუწყეთ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ კონფედერაციაში საპროტესტო წერილი და თავისი სიმართლის დამადასტურებელი დოკუმენტები გაგზავნა და საქმის ხელმეორედ გარჩევის მოლოდინშია.

გვინდა, ერთ მნიშვნელოვან დეტალს მივუბრუნდეთ. საფრანგეთის საკონსულომ შვედეთის ვიზები ქართველ ფრენბურთელებს მხოლოდ მას შემდეგ მისცა, რაც საქმეში ხელისუფლების მაღალჩინოსნები ჩაერივნენ. თუმც დელეგაციის ყველა წევრს ვიზა მაინც არ მისცეს. ერთ-ერთი მათგანი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე იყო. გუშინ რედაქციაში მისი წერილი მივიღეთ. მიქაძე ჩვენი გაზეთის საშუალებით საფრანგეთის საელჩოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართავს.

# საფრანგეთის ელჩს საქართველოში ბატონ ფილიპ რეფორს



**ამ წერილის** ავტორი ნუგზარ მიქაძე ვცხოვრობ სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ-ჯიხაიშში, ვარ პედაგოგი 30 წლის სტაჟით; დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო აგრალური კოლეჯის დირექტორი; უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით, მონიჭებული მაქვს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. 28 წელია ვარ დიდი ჯიხაიშის კოლეჯის ფრენბურთელ გოგონათა გუნდის „ჯიკოს“-ს უფროსი მწვრთნელი, რომელიც საქართველოს ორგზის ჩემპიონია, რამაც განაპირობა ის, რომ ორი წელია ვარ საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რაც ძალიან მეამაყება.

სასწავლებელში მუშაობის მანძილზე 24 დღით პრაქტიკული სწავლება გავიარე ინგლისში — ნორტამტომის საგრაფოში, 10 დღით ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ვიყავი გერმანიაში, ბავარიის მხარეში.

როგორც „ჯიკოს“ მწვრთნელი გუნდთან ერთად ვიყავი ევროპის კონფედერაციის თასზე ბოსნიაში, შემდეგ კი რუმინეთში, ხოლო როგორც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი თურქეთში, მოლდოვაში, სლოვენიასა და ხორვატიაში.

არ გამიგოთ ისე, რომ თავს ვიწონებდე საზღვარგარეთის ქვეყნებში ყოფნით, უბრალოდ მინდა მთავარი სათქმელი გითხრათ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 14 ივნისს, საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებს უნდა ეთამაშა შვედეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი, როგორც მოგახსენეთ, მე გახლავართ.

ბატონო ელჩო! გახსოვთ ალბათ, როდესაც საქართველოს ნაკრებმა 8 ივნისს (სამშაბათი) საელჩოში შემოწმება გაიარა, დელეგაციის არცერთი წევრისთვის თქვენს თანამშრომლებს არავითარი შენიშვნა არ გამოუთქვამთ, ხოლო როდესაც 11 ივნისს (პარასკევი) ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი დაიბარეთ, 16 საათზე, ვიზების გადმოსაცემად (ნაკრები უკვე ცაიტნოტში იმყოფებოდა), თქვენ უარი თქვით ვიზების გაცემაზე, უკვე 18 საათი სრულდებოდა. თქვენ იმ საღამოს განაცხადეთ, რომ შაბათს 12 საათზე ხელახლა გადახედავდით ჩვენს დოკუმენტებს, ყოველივე ეს კი დაცინვა იყო და სხვა არაფერი.

ჩვენ ძალიან დაიმედებული ველოდით ვიზებს. შაბათს დილის ვარჯიშის შემდეგ კი როდესაც პრეზიდენტი საელჩოს დაუკავშირდა, კვლავ ირონიული პასუხი იყო, რომ „ქართველებს ვერაფერი გააგებინეთ“, შაბათ-კვირას საელჩო ისვენებს. მართლაც როგორი გაუგებრები ვყოფილვართ, ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, უარი თქვით ვიზების გაცემაზე. ჩვენთვის კი დღესაც გაუგებარია მიზეზი თქვენი ამგვარი გადაწყვეტილებისა, რამაც მითქმა-მოთქმა და ჭორები გამოიწვია, თუმცა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

ორშაბათს, 13 ივნისს ნაკრები მთლიანი შემადგენლობით მივედით პარლამენტში თხოვნით ბატონ კოტე გაბაშვილთან და ანზორ გრიგალაშვილთან. დარწმუნებული ვარ, გულწრფელად შეწუხდნენ და დახმარებას დაგვპირდნენ. ამავე დღეს, 14 საათზე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ატარებს დახურულ სხდომას და ავალებს საგარეო საქმეთა სამინისტროს თუ რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა არ არის გუნდის მხრიდან დაგვხმარებოდნენ ვიზის მიღებაში 15 საათამდე. ვიზები მოგვეცა იმავე დღეს 20 საათსა და 30 წუთზე. 11 კაციანი დელეგაციიდან მხოლოდ 9-ამ მიიღო ვიზა. თუმცა უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო. ვიზა არ გაიცა მოთამაშე ნელი აირაპეტიანზე და ნაკრების უფროს მწვრთნელზე (ნუგზარ მიქაძე). აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული...

როდესაც ტელეეკრანებიდან საქართველოს საზოგადოებას აცნობდით, რომ ნაკრებს დოკუმენტები არ ჰქონდა წესრიგშიო, თურმე ვის გულისხმობდით, ხოლო შემდეგ სატელევიზიო გამოსვლაზე ბრძანეთ, რომ ეჭვი გქონდათ 2 პიროვნებაზე, რომლებიც თურმე შვედეთში დარჩენაზე ოცნებობდნენ. გეკითხებით, საიდან ასეთი ფანტაზია, ვინ მოგაწოდათ ასეთი აბსურდული ინფორმაცია, ვინ გყავთ გვერდით ასეთი ინფორმატორები, რა ეროვნების არიან?

ბატონო ელჩო! თქვენ ბრძანებთ, რომ არა ხართ ვალდებული აუხსნათ საზოგადოებას, რატომ უთხარით ნაკრებს უარი გამგზავრებაზე. თქვენ თუნდაც ვალდებული ყოფილიყავით, რომ უარის მიზეზი აგეხსნათ საზოგადოებისათვის მაინც ვერაფერს იტყოდით, რადგან ჯერ რატომღაც უარი თქვით და შემდეგ დაიწყეთ მიზეზების ძებნა... ვერ იპოვეთ და ვერც იპოვნიდით. იმიტომ რომ ჩემი პასპორტი და ჩემს მიერ განვლილი ცხოვრების გზა, ამის საბაბს არ იძლევა, ნებისმიერი ქვეყნის ექსპერტებიც რომ დაიხმაროთ...

თქვენ ხომ არ იცით და არც გაინტერესებთ, როგორ დაიწყო ფრენბურთის ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა ბატონმა ლევან ახვლედიანმა ფრენბურთის მკვდარი წერტილიდან დაძვრა, როგორ შეიქმნა საქართველოს ნაკრები, როგორი მოულოდნელი იყო ჩემთვის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელობა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა პირობებში ემზადებიან და ვარჯიშობენ ჩვენი გოგონები — ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ყველაფერ ამას ჩვენ ქვეყნის სიყვარულით ვაკეთებთ.

მოლდოვასთან გამარჯვების შემდეგ მწვრთნელსაც და მოთამაშეებსაც მთელი ღამე სიხარულისგან არ გვეძინა, როგორ მონდომებით ვემზადებოდით შვედეთში წასასვლელად და სათამაშოდ. გუნდში ისეთი განწყობა იყო, რომ შეიძლება რევანშიც შემდგარიყო... და თქვენ ყველაფერი ჩაგვაშხამეთ.

ეხლა შეიძლება არ დაინტერესებულხართ თუ რა ბედი ეწია საქართველოს ნაკრებს, თუ არახართ საქმის კურსში „გაგახარებთ“: დისკვალიფიკაცია მოგვცეს 2 წლით და ფულადი ჯარიმა დაგვაკისრეს ისედაც მცირებიუჯეტიან ფრენბურთის ფედერაციას. 2 წლიანი იზოლირება ევროპულ ფრენბურთიდან, რომელსაც ისედაც წლები [illegible] ლებოდა. გამოდის, რომ ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ ნაკრებს ყავს საეჭვო რეპუტაციის მწვრთნელი. დიდი ცოდვა ნაიდენეთ ბატონო ელჩო და ჩემს ცოდვას თუ გადაურჩით, ფრენბურთელ გოგონების ცოდვას მაინც ვერ გადაურჩებით.

ვიცი ღია წერილს თქვენ არ უპასუხებთ, ნაცნობმა იურისტებმა მირჩიეს, რომ წყლის ნაყვაო ჩემი მატერიალური მდგომარეობით [illegible] არა მაქვს საშუალება [illegible] დავიქირავო! მაგრამ მეტი [illegible] ლი ვერ შევძელი და გაზეთის საშუალებით მოგმართავთ [illegible] გამოაქვეყნოთ რა არგუმენტებით იხელმძღვანელეთ, როდესაც უარი მითხარით ვიზაზე. მე პასუხისმგებლობა მაკისრია ჩემი შვილების, სამსახურის, კოლეგების, სტუდენტების, ფრენბურთელი გოგონების, ფედერაციის, მეგობრების და გულშემატკივრების წინაშე.

მე ვერ შევძელი კარდაკარ [illegible] ვლო და ყველასათვის ამეხსნა [illegible] შმარიტი მიზეზი მოვლენების განვითარებისა, ან როგორ უნდა ამეხსნა. თქვენი არაობიექტური გადაწყვეტილებით დამაკარგვინეთ რწმენა ხვალინდელ დღისადმი და რაც მთავარია ადამიანების დამცირება ჩემდამი ნდობა. მე კი წარმოდგენილი შესაძლებლობა რაიმე რანგში შევძლო გასვლა საზღვარგარეთ აუცილებლობის შემთხვევაში მორალურად ძალიან მიჭირს...

## საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

**ქალბატონო სალომე,**

მე თქვენი ქვეყნის მოქალაქე ვარ და ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით. დარწმუნებული ვარ რომ საფრანგეთის საელჩო და ბატონი ელჩი ფილიპ რეფორი ყურად არ იღებს ჩემს თხოვნას და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დიპლომატიურ დონეზე გაარკვიოთ რა მიზეზით მითხრა უარი ვიზაზე საფრანგეთის საელჩომ შვედეთში გამგზავრებაზე, რამაც განაპირობა ნაკრების არ გამგზავრება და წაგება შვედეთში, ორი წლით ეროვნული ნაკრების დისკვალიფიკაცია და ფულადი სანქციები. ყველას გვაინტერესებს სიმართლე, გთხოვთ საფრანგეთის საელჩოსთან გაარკვიოთ. საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე არის ფრენბურთზე და ქვეყანაზე შეყვარებული პიროვნება თუ უღირსი ადამიანი.

თუ საფრანგეთის ელჩი არგუმენტებით დაამტკიცებს ჩემს ბრალეულობას, მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემი ხალხისა და სინდისის წინაშე.

***საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი* ნუგზარ მიქაძე**

# ჯვადოს ჯადო

## ფედერერი ჟანგს წრუწუნებთან იფერთხავს

### მასტერსის სერია

**ცინცინატი. მაგარსაფარი.**

**საპრიზო 2,2 მილიონი $**

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ენდი როდიკი (5, აშშ) 6:3 7:5**





**როჯერ ფედერერს** უიმბლდონის მერე ჩოგანი აღარ გაენძრია — ფეხის ტრავმის გამო კორტს განრიდებული ბარაქიანად არდადეგობდა და საყვარელ ქალ მიროსლავა ვავრინეცთან მონებივრე მომავალი ბრძოლებისთვის საჭირო მუხტს აგროვებდა.

როცა ამ ერთი კვირის წინ კორტზე მობრუნდა, ამ მუხტზე მეტად ნებივრობისას მოკიდებული ჟანგი უფრო ემჩნეოდა და ხამუშ-ხამუშ ისე ჩანდა კიდეც, ამის ჩამოფერთხვა მომავალ ორშაბათს დასაწყები აშშ-ის ღია პირველობისთვის ვერ უნდა მოესწრო.

მაგრამ როჯერი მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო ემსგავსებოდა საკუთარ თავს და როცა რობი ჯინეპრისთან დაშხოშიანად მოგებული ნახევარფინალის მერე თქვა, როგორც წესი, ფინალს ყველაზე მაგრად ვთამაშობო, უკვე აშკარა იყო — მას ვერც ამ ჯერზე შეაჩერებდნენ.

და ვერც შეაჩერეს.

ენდი როდიკს მასთან აქამდე ნათამაშებ ათ შეხვედრაში ცხრაჯერ წაეგო, აქედან ორგზის — წლევანდელ და შარშანდელ უიმბლდონობათა ფინალშიც. ყველა ამ მარცხისას ფედერერი ამქრის უსწრაფესად მომწოდებელ ამერიკელს ისე სამარცხვინოდ აბითურებდა, როგორც ჯვადო კატა — გამოუცდელ წრუწუნას. ენდიბოის იმედი ჰქონდა, რომ ნავსის გატეხვა ახლა მაინც გამოუვიდოდა, მაგრამ — ვაგლახ — ის ამ ფინალშიც წრუწუნას ჰგავდა, ფედერერი კი კვლავ ჯვადო კატასავით უმოწყალო და დაუორგულებელი იყო.

როდიკის ამ მორიგი უდამაჯერესებელი ძლევით ახლახანს გაოცდაათხუთმეტწლისებულმა შვეიცარიელმა წლის მეცხრე, ხოლო კარიერის 31-ე ტიტული მიითვალა. ის გახდა პირველი მეჩოგნე, ვინაც ერთ სეზონში ოთხი მასტერსტურნირის მოგება შეძლო — შევახსენებთ, რომ ცინცინატობამდე მან წლეულს მაიამურ, ინდიანუელსურ და ჰამბურგულ მასტერსებზეც იმარჯვა. გამორჩევით აღსანიშნავია ის საოცარი ამბავი, რომ მან ზედიზედ უკვე 22-ე !!! ფინალი მოიგო, რისი მსგავსიც კი აქამდე არასოდეს მომხდარა და, ალბათ, კიდევ დიდი დრო გაივლის, ვიდრე მოხდებოდეს.

ერთი სიტყვით, საიმისოდ, რათა არდადაგობისას მოკიდებული ჟანგი ჩამოეფერთხა და ჩოგბურთზე მწერლები ეიძულებინა, მისთვის მორიგი სადღეგრძელოები ეძღვნათ, მხიარულ როჯერს მხოლოდ ერთი კვირა დასჭირდა.

ცხადია, რომ ასეთი შთამბეჭდავი გარჯის მერე აშშ-ის ღია პირველობის უმთავრეს ფავორიტადაც სწორედ და მხოლოდ ის უნდა მიიჩნეს...

ფედერერი: „ექვსკვირიანი უქმობის შემდეგ ეს მართლაც დიდებული დაბრუნებაა. სა-აშშ-ის-ღია-პირველობოდ უკეთეს სამზადისს ვერც წარმოვიდგენდი. კარიერის დასაწყისში მასტერსტურნირებზე გამბით ორი მატჩის მოგებაც კი მიჭირდა, ახლა კი ტურნირების მოგებაც არაფრად მიღირს."

როდიკი: „ვეცდები, აქედან მაინც პოზიტივი უფრო გავიყოლო. ვფიქრობ, რომ აქ ცუდად ნაღდად არ მითამაშია. სხვა თუ არაფერი, ლეიტონ ჰიუიტს მაინც მოვუგე. ასე რომ მიხარია, ნიუ იორკამდე ასეთი ერთკვირეული რომ გამომივიდა. რაც შეეხება ფედერერს, უკვე აღარ ვიცი, რა ვიღონო — იქნებ მის წინააღმდეგ რამდენიმემ მეჩოგნემ ერთად უნდა ვითამაშოთ, ჰა, თქვენ რას იტყვით?!"

აბა, ჩვენ რა უნდა ვთქვათ, ენდი? ყველას თავის ამბავში გაუმარჯოს, თანაც — გადაპიპინებული სტაქნებით!

ცინცინატურმა გამარჯვებამ კი ფედერერს გამარჯვებულისთვის დათქმული 400 ათასი დოლარის გარდა 100 საჩემპიონთარბოლო ქულაც არგუნა. ახლა როჯერს 1010 ქულა აქვს და ის 172-ით უსწრებს მეორე ადგილზე მდგომ რაფაელ ნადალს, რომელსაც წლეულს მასსავით ცხრა ტიტული დაეკვეხება.

სხვათა შორის, ერთადერთი, რითაც ესპანელი ფასკუნჯი ზეგარდმო შვეიცარიელს მაინც უსწრებს, ამ სეზონში მოგებული მატჩების რაოდენობაა — ცხრა მარცხის წილ ის 65 გამარჯვებას მოიძევს, მაშინ როცა ფედერერის მონაგარი სამი მარცხის საპირწონედ 64 მოგება გახლავთ.

### ROGERS CUP

**ტორონტო. მაგარსაფარი.**

**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (7, ბელგია) — ჟუსტინ ენენ-არდენი (4, ბელგია) 7:5 6:1**

**თქვენი** არ ვიცით, მაგრამ ჩოგბურთზე მწერალთა შორის ეგეთი აზრი დომინირებს: ჟუსტინი შეუდარებლად უფრო ნიჭიერია, მაგრამ კიმი — შეუდარებლად უფრო ჯიგარი. აქედან გამომდინარე, როცა პირველი იგებს, ჩვენ ობიექტურად ვაფასებთ მოვლენებს, ხოლო როცა იგებს მეორე, ჩვენ გვიხარია კიდეც.

გასულ კვირას მოიგო კიმმა და ჩვენ სიხარულითაც გაუწყებთ, რომ მათ მე-19 დაპირისპირებაში ეს კიმის მეათე გამარჯვებაა. ანუ სხვაგვარად — ფუმფულა ფლანდრიელი ჭინკა ვალონელთან უკვე 10:9-ით უპირატესობს. თუმცა საკუთრივ ფინალურ დაპირისპირებებში ჟუსტინის დომინაცია ჯერაც შეუცილებელია — ამ სტადიაზე მას კიმი ათიდან შვიდ შემთხვევაში მოუთელავს.

სხვაფრივ — ეს კიმის მეექვსე საამსეზონო და 27-ე საკარიერო ტიტულია. ექვსი ტიტული წლეულს მდედრიონში ვერავის მოურეწავს, ეგ კი არა — ამ თვალსაზრისით მეორე ალაგზე მდგომ ენენ-არდენს მხოლოდ ოთხი ჯილდო მონაპოვება. პირველია კიმი ამ სეზონში მოგებულ შეხვედრათა რაოდენობითაც — ექვსი მარცხის წილ ის 49 გამარჯვებას მოიძევს.

ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ ის აშშ-ის ღია პირველობის უმთავრეს ფავორიტად რომ მიიჩნეოდეს. ეგ მით უფრო, რომ ტორონტოული ტიტული კიმის მიერ წლეულს მომკილი მეხუთე ჩრდილოამერიკული განსხვავებულია მაიამურის, ინდიანუელსურის, სტენფორდულისა და ლოსანჯელესურის მერე.

ბოლოს კი ორიოდ სიტყვა 48 წლის მარტინა ნავრატილოვაზეც, ვინაც ტორონტოში თავის ბოლოდროინდელ გერმანელ მეწყვილე ანა-ლინა გრიონეფელდთან ერთად იჯუფთავა და ფინალში ესპანელთა — კონჩიტა მარტინესისა და ვირხინია რუანო პასკუალის 5:7 6:3 6:4 დამარცხებით კარიერის 175-ე საწყვილოსნო ტიტული იშოვა.



# ხარაშა მაშა და ნე ნაშა

**გვაქვს** პატივი, გაუწყოთ, რომ ამ ორშაბათიდან ქალმეჩოგნეთა რეიტინგსიას თუმც გაურკვეველი ვადით, მაგრამ მაინც დასტურ უთავქალებს 18 წლის დაბადებით რუსი და აღზრდით ამერიკელი მარია შარაპოვა.

ეს კენარი და ლოლომარწყვა გოგო გახდა მეთხუთმეტე, ვინაც კი ქულათა კომპიუტერული დარიცხვის შემოღებიდან დღემდე ქალთა ნუსხის სათავეში მოქცეულა. მასზე უმცროსთ ეს ალაგი აქამდე მხოლოდ მარტინა ჰინგისს, მონიკა სელეშს, ტრეისი ოსტინსა და შტეფი გრაფს დაუპყრიათ.

ის, რომ მაშა ამქრის აქამომდელ პირველოსან ლინდსი დევენპორტს ჩაენაცვლებოდა, მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც რომ ამ უკანასკნელმა გასულ კვირაში ტორონტობაზე გამოსვლა იუარა — ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ საამკვირაო სიაში ლინდსის ავტომატურად მოაკლდებოდა შარშან ამ დროს ნაშოვნი 175 ქულა. და — ეს მაშინ, როცა შარაპოვასთან ის მხოლოდ 23 ქულას უპირატესობდა.

შედეგად: ახლა მაშას უკვე 4452 ქულა აქვს, ლინდსის მონაგარი კი 4300-ს შეადგენს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ლინდსის უკვე ამ კვირაშივე შეუძლია, დათმობილი სეფეჩოგანი დაიბრუნოს. საამისოდ მას მხოლოდ საამკვირაო ნიუჰევენობის ფინალში გასვლა სჭირდება.

# გუდ ბაი შეფილდში




კელი ჰოლმსი ბრიტანელ ქომაგებს გამოეთხოვა

**შეფილდის** „ვოლი სთედიუმზე“ „ნორვიჩ იუნიონის“ ბრიტანული გრან პრი გაიმართა, სადაც კელი ჰოლმსი ინგლისელ გულშემატკივარს გამოეთხოვა — ინგლისური პუბლიკის საყვარელი მძლეოსანი კოჭლობით მიმეცხრევდა 800 მეტრზე სირბილის ფინიშთან და როგორც თავად თქვა, შესაძლოა სპორტსმენის ცხოვრებას სულაც აქვე დაუსვას წერტილი.

ძალიან ლამაზი და შთამბეჭდავი გახლდათ ჰოლმსის მისვლა, უფრო სწორად კი მიფრენა-ჩაფრენა შეფილდის სარბიელზე — მარჯვენა ფოტოზეც ჩანს, როგორ ჩადის იგი ვერტმფრენიდან, მაგრამ შემდეგ, სარბენ ბილიკზე კი გაუჭირდა.

ოლიმპიური თამაშების დუბლჩემპიონმა თქვა: „ხალხის დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი და ეს აღმაფრთოვანებდა, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ პირველ ადგილზე ვერ გავედი.“

ჰოლმსმა გაისად 1500 მეტრზე ასპარეზობა და ბრიტანეთის თანამეგობრობის ტიტულის დაცვა იუარა:

„დღეს-ხვალ ნატკენ ფეხზე სურათს გადავიღებ და მერე გადავწყვეტ რა მიმართულებით გავაგრძელო გზა. ამ წუთას არავინ იცის იქიდან საოპერაციო მაგიდისკენ უნდა გავეშურო თუ არა. ერთი სიტყვით, ყველაფერს გონებაში ადგილს რომ მივუჩენ, მერე მოვიფიქრებ რა ვუყო საკუთარ თავს. ნაჩქარევად არაფერს გადავწყვეტ. დღევანდელი დღე კი ძალიან ამაღელვებელი გამოვიდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი ინგლისელ ქომაგებს, ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს.“



ამ ემოციური, თანამემამულე ქომაგებთან გამოსათხოვარი დღისთვის ჰოლმსს საგანგებოდ შეეკერა ლიკრის მოოქროსფერებული კომბინიზონი. შეგახსენებთ, რომ 35 წლის ინგლისელს თავდაპირველად ჰელსინკის უკვე გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა სურდა, მაგრამ აქილევსის მყესის დაზიანებულმა ტკივილმა განზრახვაზე ხელის აღება და შეჯიბრიდან [illegible] ხაზის უკან გამოტანა აიძულა.

„ჩემი ოქროს მედლები ორი არის. ეს წელიწადი გულს [illegible], მაგრამ ტიტულები მახსენდება, რომ შარშან ძალიან გამიმართლა. დიდ შედეგებს მივაღწიე და ახლა [illegible] ვიდდებოდი.“ — დასძინა ჰოლმსმა.

**ტუტა სიხარულიძე**

# ვერ იდიბაბა




**მსოფლიოს** ჩემპიონმა ორ დისტანციაზე, 5 და 10 ათას მეტრზე სირბილში, ეთიოპიელმა ტირუნეშ დიბაბამ რამდენიმე დღის წინ დაიქადნა, შეფილდში, „ნორვიჩ იუნიონის“ ბრიტანულ გრან პრიზე 5 000 მეტრზე ახალ მსოფლიო რეკორდს დავამყარებო, მაგრამ ჩაფლავდა. დიბაბამ კარგად ირბინა, განსაკუთრებით ბოლო წრეზე, სადაც თავისი და, ეჯეგაიეჰუ ჩამოიტოვა, მაგრამ საბოლოოდ მისი ნაჩვენები დრო 14:51.77 არსებულ და ჯერაც ხელუხლებელ რეკორდზე 25 წამით ნაკლები აღმოჩნდა.

და მაინც, ეს გახლდათ რეკორდი, შეფილდის სტადიონის რეკორდი, რომელსაც იქ შეკრებილი გულშემატკივრები დიდი ოვაციით შეეგებნენ, მითუფრო, რომ ძალიან ეფექტური გამოდგა დების დაწინაურება სხვა მორბენლებთან შედარებით.

კიდევ, გრან პრიზე მომხდარ ამბავთაგან იმის გამოყოფა შეიძლება, რომ 200 მეტრზე სირბილში 22,54 წამით გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ელისონ ფელიქსმა, მეორე ადგილზე კი ჰელსინკიში 100 მეტრზე გამარჯვებული ლორინ უილიამსი გავიდა — 22,91 წამი.

იგივე დისტანცია კაცთა შორის ყველაზე სწრაფად მსოფლიოს 100 და 200 მეტრის ჩემპიონმა ჯასტინ გატლინმა გაირბინა. მან ბოლო მეტრებზე აჯობა თანამემამულე ტაისონ გეის — 20,09.

„ევროპაში ამდენი მოგზაურობითა და სირბილით ძალიან დავიღალე, — განუცხადა გატლინმა გარბენის შემდეგ ჟურნალისტებს, — მეტისმეტად მინდოდა ყველასთვის მეჩვენებინა, რომ ჰელსინკის გამარჯვება შემთხვევითი არ იყო და რომ ოქროს მედლების მოგება რეგულარულად შემიძლია. მერედა, ინგლისელმა ქომაგმა ძალიან თბილად მიმიღეს. ვფიქრობ კარგი გამოსვლით გადავუხადე კიდეც პატივისცემა. მართალია წლის მთავარი შეჯიბრება მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, დღესაც ისე ვირბინე, როგორც მაშინ, დიდ ფინალში. მინდა სპრინტში მთავარი ფიგურა ვიყო და ძალიან მიხარია წლეულს ასე, რომ ამეწყო საქმეები.“

**ტუტა სიხარულიძე**

## რაგბი



ჯონი უილკინსონი მოედანს მალე დაუბრუნდება

# ჯონი უკეთაა და განიცდის

**ორიოდ** დღის წინ მოგახსენებდით, რომ ინგლიური რაგბის ვარსკვლავს, ჯონი უილკინსონს იაპონიაში ყოფნისას აპენდიციტმა შეუტია და ტოკიოს საავადმყოფოში გააქანეს. ამ უსიმოვნო ამბის გამო ნიუკასლელ მოთამაშეს ამომავალი მზის ქვეყანაში დაგეგმილი ტურნეს ორი მატჩი უკვე გაუცდა. მეორე გუშინ უნდა ყოფილიყო, „ტოიოტა ვერბლიცთან“

„ჯონი თავს გაცილებით უკეთ გრძნობს და მეტად და მეტად უკეთ ხდება, — განაცხადა ნიუკასლელთა მწვრთნელმა რობ ენდრიუმ. — მერწმუნეთ, ამჟამად საკუთრივ ჯონიზე მეტად არავინ განიცდის ამ ამბავს, მაგრამ ვერაფერს გახდები, ასეთია ცხოვრება.“

შეგახსენებთ, რომ უილკინსონი სულ ახლახან გამოჯანმრთელდა. მას მხრის ტკივილმა თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გამოატოვებინა.

**ტუტა სიხარულიძე**




# ჯონი უოკერის პატივსაცემად

კრიკეტის საერთაშორისო საბჭოს შეფ მალკოლმ სპიდს ინდური ტელევიზიის წამყვანი მანდირა ბედი გუნდ ICC WORLD XI-ის ახალ მაისურას წარუდგენს. დღეიშო მალე ჯონი უოკერის სუპერ სერია გაიხსნება და ხსენებული გუნდი მსოფლიოს ნაკრების ავსტრალიელებს უნდა გაეჯიბროს.




# მიდი, ამადო!

„ნიუ იორკ მეტროსტარზის“ ფორვარდი ამადო გუერა თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს მას შემდეგ, რაც მან „USA ჩივასს“ გამთანაბრებელი გოლი შეუგდო. მატჩი ისტ რეზერფორდის „ჯაიანტ სტადიუმზე“ გაიმართა და 3:3 დასრულდა.

# ჯერემის ფინიში

ჯერემი მეიფილდი სულ მოტორის ბღუილით შევარდა თავის გუნდელებში, მას შემდეგ, რაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი „მიჩიგან ინტერნეიშენალ სპიდვეის“ რბოლაში.




# მაინც არ იშლის

ინგლისელთა ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი გუშინწინდელი დერბის, „ჩელსი“ — „არსენალის“ საყურებლად მისულა „სტემფორდ ბრიჯზე“ და იქ ისეთები უნახავს, მის გამჭრიახ თვალს როგორ უნდა გამოჰპარვოდა?! ქალი მოდის და ნახევარი ტრიბუნა მოაქვს. ერიკსონსაც ფეხბურთი დავიწყნია და კოხტა მდედრის მზერით ტკბება. არაფერი გასაკვირი — ყველამ იცის, რომ გორანი ნამეტანი მექალთანეა.



# მილიონიანი მხედარი



ბედაურს რომ მათრახს ულერებს, გარეტ გომესია. მან კალიფორნიულ დელ მარში გამართული დოღი, სახელად 1 MILLION PACIFIC CLASSIC-ი მოიგო ამ კვირას.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხარჯრიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მელაკვლიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge